№ 2767
პარასკევი,
11 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2767
პარასკევი,
11 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

თომა გრიგორის ძე გრიგორიევი, ელისაბედ გრიგორის ასული მალიევისა შვილებითურთ და დარია ზურაბის ასული ფლორინსკისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—ძვირფას და დაუვიწყარ დედის, უკანასკნელი—მამიდის

ელენე მოსეს ასულის გრიგორიევისას.

პანაშვიდები ყოველ დღე 12 და 7 საათზე. ცხედრის გამოსვენება 13 მარტს დილის 10 საათზე განსვენებულის ბინიდან: მამადავითის მოედანი № 3, მამადავითის ეკკლესიაში. დაკრძალვა ეკკლესიის გალავანში. (3—1)

ტფილისის მოქალაქეთა მამასახლისის თან. ამხ. სტეფანე ალექსის ძე დანდუროვი აუწყებს ტფილისის მოქალაქეთა წოდების დეპუტატებს გარდაცვალებას მამასახლისად ნამყოფის, თავმჯდომარის

ისაკ სოლომონის ძის ბუდაგოვისას.

პანაშვიდი პარასკევს, 11 მარტს, საღამოს 7 ს. ცხედრის გამოსვენება 12 მარტს დილის 10 ს. საკუთარ სახლიდან ვანქის ტაძარში, ხოლო იქიდან ხოჯივანის სასაფლაოზე. (1—6.—1)

სახალხო განათლების სამინისტროს წინადადებით 23 თებერვალს 1905 წ. № 4009-ით ამით ვაცხადებთ, რომ **ქუთაისის შემდეგ სასწავლებლებში:** ვაჟთა გიმნაზიასა, რეალურ სასწავლებელსა, ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელსა და პირველ საქალაქო სასწავლებელში სწავლა განახლდება 15 ამა მარტს. ის მოსწავლენი, რომელნიც ამ დღისათვის არ გამოცხადდებიან, დათხოვნილებად ჩაითვლებიან.

ზემოაღნიშნულის დასამტკიცებლად ამით ვუწყებთ ყველას, რომ დაახლოებულ დროსთვის შეტანილ უნდა იქმნას სწავლის ფული 1905 წლის პირველი ნახევრისა.

გიმნაზიის დირექტორი **ო. ჩებიში.**
რეალურ სასწ. დირექტორი **ვ. ბაბანსკი.**
ქუთ. გუბ. სახალხო სკოლების დირექტორი **პ. ფედოროვსკი.**
წმ. ნინოს სასწავლებლის დირექტორი **ა. სიბირცევი.**
(3—6.—3)

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია", გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო

„გრანდ-ოტელი"

შუა ქალაქში, ფოსტის და ვაგზლის ახლოს. შენობა სრულიად განახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, საოჯახო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მგზავრთ შეუძლიათ მიიღონ თბილი და ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზე. (15—ბგ—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ვ. ი. [illegible]. კბილის 8—9 საათ.
ზ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალდარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ი. პოლინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. [illegible].—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. ე. [illegible]. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი ნ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და [illegible] სამშ., ხუთშ. და შაბათ. 1½—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ სათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ი. [illegible].—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.
ფასი რჩევის და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოთვის აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციული ბანკის სახლი. (60—403—32)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და პირონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 13. (60—28—33)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალდარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—47—17)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალდარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკკლესიის გვერდით, ტელეფ. 729. (30—91—4)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

9 მარტი

ვორონეჟი. საგუბერნიო საკრებულომ გადაწყვიტა გამართოს ზაფხულობით კურსები მასწავლებლებისთვის, გადასდოს 8000 მ. ამ საქმისთვის და იშუამდგომლოს, რათა სახალხო განათლების საქმე სავსებით საზოგადო დაწესებულებებს გადაეცეს.

ორიოლი. საგუბერნიო რჩევამ საგლეხო კანონ-პროექტის შესახებ გადაწყვიტა დაწესებულ იქნას, რომ სავოლოსტო მოსამართლედ 35 წლის კაცის მაგივრად 25 წლისა ინიშნებოდეს. ვოლოსტის სასამართლოს არ აქვს ნება გაარჩიოს საჩივარი, რომელიც 2000 მანეთს აღემატება.

ბერნი. სიმპლონის რკინის გზის გახსნა 17 სექტემბრისთვის არის დანიშნული.

10 მარტი

ვაშინგტონი. ბოუენმა წინადადება მისცა ვენეცუელის მთავრობას, ყველა სადაო საკითხები სამედიატორო სასამართლოს გაარჩევინეთო. თუ ამ წინადადებას უკუაგდებთ, მაშინ შეერთებული შტატები სასტიკ ზომებს მიმართავსო. ბოუენმა დასძინა, რომ თუ კასტრო შეთანხმებას მოახდენს ინგლისსა და გერმანიასთან, რომლის ძალით 50% სადამოჟნო შემოსავლისა ამ სახელმწიფოების საჩივრებათა დასაკმაყოფილებლად წავა, მაშინ შეერთებულ შტატებისთვის არაფერი აღარ დარჩებაო; ბოუენს ჯერ კიდევ არ წარუდგენია ულტიმატუმი, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ ჩქარა ძალას დატანება იქნება საჭირო.

ვენა. ჩერნოგორია ანტივარში ნავთ-სადგურის გასამართავ პროექტს ამზადებს, რათა ჰსურს თავი დაახწიოს ავსტრიის ნავთ-სადგურ კატტაროსაგან დამოკიდებულებას. იტალია ხელს უწყობს ამ პროექტის განხორციელებას.

პარიზი, ჟულ ვერნი მძიმედ გახდა ავად. ეშინიათ, საქმე სიკვდილით არ გათავდესო.—ანტონინ პრუს, რომელიც მხატვრულ ხელოვნების მინისტრად არის ნამყოფი, გუშინ თავის მოკვლა განუზრახავს და ორჯელ უსვრია თავში. მიზეზათ—შინაურ უბედურებას ასახელებენ. მისი მდგომარეობა უიმედოა.—გაზეთ „ეკლერ"-ში დეპეშაა მოთავსებული ლონდონიდან, სადაც ნათქვამია, იილდიზმა, სულთნის ოფიციოზურმა აგენტმა განაცხადა, რომ ოსმალეთის მთავრობა დარწმუნდა, აუცილებელია ბულგარიასთან ომიო.

ბათუმი, 9 მარტი. ქალაქში უქმები აღარაა. ნავთსადგურში დგას 4 უცხოელი გემი და ტყუილად ელოდება დატვირთვას. ნავთის გატანა შეწყდა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

9 მარტი

ლონდონი, 9 მარტი (რეიტ.). „ტაიმსი" ბეჭდავს სტატიას, რომელშიაც ამტკიცებს, რომ სასარგებლოა იაპონიასთან დროებით შეთანხმება შეიცვალოს მუდმივ საკავშირო ხელშეკრულებით და ვალდებული გავხდეთ ერთი მეორეს დახმარება აღმოვუჩინოთ ომის დროსაო; ამ გვარი ხელშეკრულობა უზრუნველყოფდა საყოველთაო მშვიდობიანობას და აზიაში სიმშვიდე დამყარდებოდაო.

ლონდონი. ტაკაჰაში ფიქრობს, რომ გერმანიისა და ჰოლანდიის ბანკებს სურთ წაიღონ სესხის ნაწილიო. დაინტერესებული არიან აგრეთვე შვეიცარიისა და ბელგიის ბანკებიო.

ხარკოვი. კონდრატენკოს ცოლმა, რომელიც ხაბაროვსკიდან პოლტავას მიდიოდა, გვიამბო, რომ 2 დეკემბერს კონდრატენკო კაზემატში შევიდა სადაც სამხედრო თათბირი იყო დანიშნული. სალდათებმა „ურა" დასძახეს, რამაც მიიპყრო იაპონელთ ყურადღება და გაჩნდა ზარბაზნების სროლა. ყუმბარამ კაზემატს კარი ჩაამტვრია. გენერალი დაეცა. აღმოჩნდა, რომ მისთვის კეფის ძვალი ჩაემტვრია ყუმბარასაო.

10 მარტი.

ბერლინი, 9 მარტი. როგორც საიმედო წყაროებიდან სჩანს, იაპონელები ბერლინში 200 მილ. მარკას სესხულობენ ხუთ პროცენტათ კურსი 90. ბანკირებმა, რომელთაც რუსეთის სესხი გამოუშვეს, ცივი უარი განაცხადეს იაპონიის სესხის განაღდებაში მონაწილეობის მიღებაზე.

სიპინგაი, 9 მარტი. უცხოელი აგენტები გუნჯულინში არიან. არც ერთი იმათგანი არ წაუყვანიათ იაპონელებს ტყვედ. რუსის პირველმა არმიამ შესანიშნავი წინააღმდეგობა გაუწია ორის კვირის განმავლობაში, არც ერთი ზარბაზანი, არც ერთი პოზიცია არ დაუკარგავს; წაართვა მტერს 7 ტყვიის მტყორცნელი და 400 ტყვე. ამ ჟამად ის ნელ-ნელა იხევს ჩრდილოეთით და ადვილათ იგერიებს მტრის წინა რაზმს. ციმბირელი სალდათები მამაცურად იტანენ გაჭირვებას, მაგრამ გაბოროტებული არიან მუდმივის უკან დახევით.

ნიუ-იორკი, 9 მარტი. ნორლზ შვაბი, გემების მშენებელი და საფოლადო ქარხნების პატრონი ამერიკაში, პეტერბურგს წავიდა; მას უნდა მოლაპარაკება გამართოს ვერფის გაკეთებასა და გემების აშენების შესახებ. ამ საქმეში პირპონტ მორგანიც იღებს მონაწილეობას.

სტამბოლი, 9 მარტი. პორტა არჩევს იმ ზომებს, რომელნიც არაბებისაგან ქალაქ სანას აღებას შეეხებოდა.

ტვერი. „ტვერის საგუბერნიო უწყებებ"-ში დაბეჭდილია: უგლიჩში ქალაქში მთვრალ სალდათების დასაჭერად ყარაულები იყვნენ დანიშნული გრენადერთა მერვე პოლკიდან. ყარაულები თვითონ დამთვრალიყვნენ და როცა ბერეგის ფაბრიკასთან მისულიყვნენ, მუშებს დაცინვა დაეწყოთ. სალდათებმა ხიშტები იხმარეს და ხუთი კაცი დასჭრეს, მათ რიცხვში იქ შემთხვევით მიმავალი ქალებიც. ერთი დაჭრილი მოკვდა. მთავარი დამნაშავე ახალგაზრდა სალდათია.

ეკატერინბურგი, 9 მარტი. ადგილობრივმა გაზეთებმა გადაწყვიტეს, დაასვენონ ასოთ-ამწყობები კვირაობით.

ლონდონი, 9 მარტი. დეპუტატთა პალატაში ლიუისმა სთქვა, რომ ბაქოს საქმეებში ბრიტანიის კაპიტალია ჩახარჯული და ამიტომ წინადადებას გაძლევთ დაარსოთ ბაქოში საკონსულო, რათა ბრიტანიის ინტერესები დავიცვათ და განვავითაროთო. ბალფურმა უპასუხა, რომ რუსეთის მთავრობასთან ვერ მოვახერხეთ შეთანხმებაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

კაიუანის ჩრდილოეთით. იაპონელებმა 6 მარტს დილით აიღეს კაიუანი და მაშინვე წინ გაემართნენ. გენ. ლინევიჩი იუწყება: 7 მარტს იაპონელთა ცხენოსანი მზვერავი რაზმები ჩვენ მოდარაჯე რაზმებს მოუახლოვდნენ; იაპონიის ქვეითა ჯარის მოწინავე რაზმი სოფ. მაჩენტაის გასწვრივ დადგაო. სოფ. მაჩენტაი რკინის გზის პირად მდებარეობს, კაიუანისა და ჩანტუფუს შუა, კაიუანიდან დაახლოვებით 15 ვერსტზე ჩრდილოეთით. იაპონიის არმია დღემდის ბეჯითად სდევნის რუსებს. 7 მარტამდე იაპონელებმა დაუსვენებლივ 130 ვერსტი გაიარეს მუკდენიდან და ჯერ, ეტყობა, დადგომას არ აპირებენ.

ტოკიოდან იუწყებიან, მარშალი ოიამა ხარბინამდე ივლის და თუ რუსები შედგნენ სადმე, შეებრძოლება და საბოლოოდ დაამარცხებს რუსის არმიასაო. („ნ. დ.").

ჩინელებს უთქვამთ, რუსის რაზმები დიდ გაჭირვებაში არიან, საჭმლის შოვნა უძნელდებათო. ყველაზე გაჭირვებულ მდგომარეობაში გირინის გზით წასული რუსის რაზმი იქნება. ეტყობა, გზაში ხუნხუზებიც საქმეს უჭირვებენ რუსებს. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი კლიმკოვი იუწყება: 28 თებერვალს ღამით სადგურ გუნჩჟულინთან, ხუნხუზები ლაეცნენ ჩვენს მატარებელს, თოფი დაუშინეს, ერთი აფიცერი მოჰკლეს, ერთი დასჭრეს, რკინის გზის ლიანდაგი 15 საჟენის სიგრძეზე ააფეთქეს და მატარებელი მთელი ღამე შეაყენესო. სიცივე, საჭმლის სიცოტავე, ცუდი გზები, ხუნხუზები და უმთავრესად იაპონელები ძლიერ გაუძნელებენ უკან დახევას რუსის ჯარს. გამართლდა იაპონელების მუქარა და რუსის ჯარს მეტად ცუდ დროსა და გარემოებაში მოუხდა უკან დახევა.

რუსის ჯარის ზარალი მუკდენთან და იაპონელების დავლა. თუმცა რუსული გაზეთები („რუს"-ი, „ნოვოსტი") ბეჯითად სთხოვენ მთავრობას, გამოგვიცხადეთ, რა ზარალი მოუვიდა რუსის ჯარს მუკდენთან და რამდენი ზარბაზანი და სურსათი დარჩა იაპონელებსაო, მაგრამ დღემდე მაინც არავითარი ოფიციალური ცნობა არ გამოუცხადებია მთავრობას. უცხოეთის პრესისა და სააგენტოების ცნობით, რუსებს 150 ათასიდან 300 ათასამდე კაცი დაჰკლებიათ მუკდენთან; ამ რიცხვში 50 ათასიდან 100 ათასამდე დატყვევებულია. „რუსეთის სააგენტოც" თან და თან უმატებს ტყვეთა რიცხვს: გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, იაპონიაში 45 ათასი ტყვე რუსი გაგზავნესო. ვნახოთ საღამდე ავა ეს რიცხვი და გაუსწორდება უცხოეთის პრესისაგან ნაჩვენებ რიცხვსა, თუ არა.

არტილერიის ზარალზე რუსული ცნობები თითქმის ხმას არ იღებენ. უცხოეთის პრესის ცნობით კი ეს ზარალიც მეტად დიდია: იაპონელებმა 500-დან 700-მდე საალყე და საველე ზარბაზანი ჩაიგდეს ხელშიო.

საკვებ და სამხედრო სურსათის და სხვა ქონების ზარალს არც რუსის კორესპონდენტები ჰმალავენ. დიდძალი სურსათი დაუწვავთ რუსებს მუკდენსა და იმის სამხრეთით, ტელინსა და სხვა ადგილებში, მაგრამ იაპონელებსაც აუარებელი ქონება ჩაუგდიათ ხელში.

ზნეობრივ ზარალს ხომ თქმა აღარ უნდა: ამ ზარალს არც ანგარიში აქვს, არც ფასი დაედება.

სამხედრო სასანიტარო ნაწილის უფროსი გენ. ტრეპოვი დეპეშით იუწყება: 15 თებერვლიდან 1 მარტამდე ჩრდილოეთისაკენ გავისტუმრეთ: 1379 დაჭრილი და 433 სნეული აფიცერი, 56,723 დაჭრილი და 4965 სნეული სალდათი. მუკდენში ჯვართამაღლებისა, ლიფლიანდიისა და ორ სამხედრო საავადმყოფოში 800 მძიმედ დაჭრილი დავტოვეთო. („რ. ი.").

წითელ ჯვრის უფროსი რწმუნებული თავადი ვასილჩიკოვი 28 თებერვალს დეპეშით იუწყებოდა: პეტერბურგის მეორე საავადმყოფოს მთელი ქონება დაეკარგა: დანარჩენ საავადმყოფოებს ქონების ნაწილი. მუკდენში ერთ სახლს ცეცხლი წაეკიდა და შიგ სანიტარი ლებედევი დაიწვა. („რ. ვ.").

იაპონელებს, სხვათა შორის, ვილნოს პოლკის ბაირაღი ჩაუგდიათ ხელში. ეს ბაირაღი სამს ომში ყოფილა გამოვლილი.

„როიტერის სააგენტოს" კორესპონდენტი 27 თებერვალს დეპეშით იუწყებოდა გენ. კუროკის ბანაკიდან: დღე და დღე უფრო ცხადად ვგებთ, რომ რუსის ჯარი მუკდენთან ძალზე დამარცხებულა. იაპონელებს იმაზე მეტი ზარალი არ მოსვლიათ, რაც წინანდელ ბრძოლებში მოსდიოდათ. 26 თებერვალს საღამოთი იაპონელთა დივიზია ტელინის გზაზე რამდენსამე რუსის პოლკს შეხვდა. იაპონელები გორებიდან ძირს ჩავიდნენ და რუსებს გზა შეუკრეს. ბრძოლის შემდეგ 4 ათასი რუსი 4 ზარბაზნით ტყვედ დაჰნებდა იაპონელებს. ბრძოლაში უმთავრესი როლი იაპონელთა არტილერიამ შეასრულა. იაპონელებს ამ ბრძოლაში სულ 100 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. („ნ.").

„დეილი ქრონიკლ"-ის კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან: რუსებს ტაშიჩაოსა, საუტიაძისა და ტაუტუნთან (მუკდენის ჩრდილოეთ-დასავლეთით) 12 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს; იაპონელებმა 3 ათას კაცზე მეტი დაატყვევეს, 12 ტყვიის მტყორცნელი ჩაიგდეს ხელში და 24 საველე ზარბაზანი—ზოგიერთ ზარბაზნიდან რუსებს კლიტეც არ გამოეღოთ: ამას გარდა იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს 35 ათასი ყუმბარა, 5 მილიონი თოფის პატრონა და 10 ათასი თოფი. ეხლა იაპონიის არმია დიდხანს გამოიკვებება რუსების სურსათით, რადგან მარტო მარცხენა ფრთამ ტაიძუნსა, საუდიაძისა და სანტაიში ხელში ჩაიგდო სამი საწყობი ბრინჯისა, ხორცის კონსერვებისა, ფქვილისა, შაქრისა და დიდძალი ტანისამოსი. რუსებმა ისე საჩქაროდ დაიხიეს უკან, რომ ტელეგრაფის პარკის სამი პოვოზკა დასტოვეს ყველა მოწყობილობით და საიდუმლო დეპეშებით. ამას გარდა, დაჭერილ ქარავანში რამდენიმე პოვოზკა ვერცხლისა და ქაღალდის ფულიც ჩაიგდეს ხელში. ყოველ დღე მოჰყავთ ტყვეები. დაჭრილ რუსებს მუკდენში ჰგზავნიან რუსის საავადმყოფოში, თავიანთებს იაპონიაში ისტუმრებენ. („რ.").

რად დამარცხდა რუსეთი? მუკდენთან დამარცხებაზე „ბერლინერ ტაგებლატ"-ი სწერს: იაპონელებმა მუკდენთან დიდძალი საკვები სურსათი და ყუმბარა ჩაიგდეს ხელში. აქედან ცხადად სჩანს, რომ უბედურების მიზეზი სულაც არაა საკვებ სურსათის ნაკლებულება. დამარცხების მიზეზი ბიუროკრატიული წესია. ეს წესი რუსეთის ერის საუკეთესო ნაწილს ემტერება; არა თუ ხალხის მიძინებულ ძალას არ აღვიძებს, პირიქით ბორკილით ჰკავებს. ეს წესი მოუხეშავია და ტლანქად მოქმედებს, სიფრთხილე არ იცის, თაოსნობას ერიდება, ორგანიზატორის ნიჭს მოკლებულია, ნიჭიერ კაცების აღზრდა არ შეუძლიან და პასუხისმგების შეგნებას მოკლებულია; ამ წესმა მარტივი ზნეობრივი ჭეშმარიტებაც ვერ შეიგნო, რომ ყოველი დაწესებულება მხოლოდ ხალხისათვის არსებობს და მხოლოდ ხალხის სამსახურით ამართლებს თავის არსებობას. აი სწორედ ამ წესს დაედვა მსჯავრი მანჯურიაში. („ბ. ვ.").

რად გაიმარჯვა იაპონიამ? იაპონური გაზ. „ჯი-ჯი" სწერს: მთავრობის ზრუნვამ ხალხის განათლებისათვის ფუჭად არ ჩაიარა. პატარა იაპონია თავის სკოლისა და მასწავლებლის მეოხებით ამარცხებს დევ რუსეთს და იმის მრავალ მილიონ უვიცგლეხობას. განა ჩვენისა და რუსის სალდათის შედარება შეიძლება? იაპონელი სალდათი მოქალაქეა: თავისი სამშობლო შეგნებით უყვარს და არა ინსტინქტიურად. ჩვენს სალდათს ჩინებულად ესმის, თუ რისთვისაა ეს ომი, და სრულიად ეთანხმება თავის მთავრობის აზრს. ჩვენი სალდათი განათლებულია, მშვენივრად გაწვრთნილი, მამაცი, მოსწრებული; კარტის მოხმარება იცის, იცის დაჭრილთა დახმარების და ჰიგიენის წესები და სუფთაა. ჩვენი სალდათი ამავე დროს მორჩილი და თავგანწირულიცაა; ყველა ბძანებას, რაც უნდა ძნელი ასასრულებელი იყოს, ულაპარაკოდ და მოფიქრებით ასრულებს; მანქანა-კი არა, მშვენივრად მიმხვდებული მეომარია. რუსებს ეგონათ, ერთის შეტევით გაგვაქცევდნენ, მაგრამ ჯერ ერთხელაც არ დაგვიხევია უკან და სულ წინ მივდივართ. ეგაა არავინ იფიქროს, რომ ომი და გამარჯვება ადვილი ყოფილიყოს ჩვენთვის. მთავრობამ ჯერ ხალხი მოამზადა, არმია და ფლოტი შექმნა, სამშობლო მრეწველობა განავითარა. ჩვენი მეცნიერები სრულ ოთ წლიწადს მუშაობდნენ სამშობლოსათვის. დიდის შრომის გაწევა მოგვიხდა, მაგრამ ამ შრომამ უსარგებლოდ არ ჩაგვიარა: ეხლა იაპონია დიდებული სახელმწიფოა, იაპონიის ერს ხმა აქვს მსოფლიო საქმეებში, იაპონიის არმია პირველია ქვეყნიერებაზე, იმისი ფლოტი მაგალითია სხვებისათვის". („რ.").

ჩინელების სიხარული. ნიუჩუანიდან დეპეშით იუწყებიან: ადგილობრივმა ჩინელებმა დიდის ამბით იდღესასწაულეს მუკდენის აღებაო. პროცესიები გამართეს ფანრებით და შუშხუნებით. ყველგან ტრანსპარანტები სჩანდა: ზედ დახატული იყო ჩინელი და იაპონელი, რომელნიც ერთმანეთს ხელს აწვდიან. („რ. ს.").

მიწა და გლეხი

ეხლანდელ სოციალურ ურთიერთობის საფუძველს, როგორც ვიცით, კერძო საკუთრება შეადგენს. ჩვეულებრივის და ფართოდ გავრცელებულის წარმოდგენით, კერძო საკუთრების ინსტიტუტი ბუნებითი, აუცილებელი და სამუდამო ნიადაგია ადამიანთა საზოგადოებისა და ამ ინსტიტუტის გარეშე ცხოვრება დღევანდელს აზროვნებას შეუძლებელ საგნად მიაჩნია. ისტორია კი, თავის მიუდგომელის კვლევა-ძიებით, სხვას გვასწავლის. მეცნიერულმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი სრულიად საზოგადოებრივის ცხოვრების თანდაყოლილი და განუყოფელი პირობას არ არის, პირიქით, იგი ისეთივე გარდამავალი, ისტორიული ე. ი. განსაზღვრულ პირობებში გაჩენილი და მხოლოდ ამ პირობებიან ერთად შესაძლე-

ბელი მოვლენაა, როგორც ყოველივე სხვა დედა-მიწის ზურგზე. მეცნიერებამ გამოარკვია და უცილობელ ჰყო აგრეთვე ის ფაქტი, რომ ადამიანთა უძველესმა კულტურამ სრულიად არ იცოდა კერძო საკუთრების უფლება, რომ საკუთრება, როგორც ურთიერთობის გამომხატავი ცნება, ძველის კულტურისთვის სრულიად უცხო და მეტი ცნება იყო, რადგან იმის მაგიერობას საერთო ანუ საზოგადო მფლობელობა, ე. ი. კოლლექტივისმი, ეწეოდა.

იურიდიულმა მეცნიერებამ დიდ-ძალი მასალა მოაგროვა და ამ მასალის სისტემატიურად შემუშავებამ რამდენადმე ნათელი მოჰფინა ისტორიულ მეცნიერების დასკვნას კერძო საკუთრების შესახებ. აღმოჩნდა, რომ კერძო საკუთრების აზრი თან-დათან და მძიმე-მძიმედ არღვევდა ძველს კოლლექტივისმს და ნელ-ნელა შეჰქონდა ცხოვრებაში კერძოობის აზრი; აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ბევრს კულტურულს ქვეყნებში დღესაც ცხოვრების ყოველს სფერაში არ არის შეტანილი და დამყარებული კერძო საკუთრების პრინციპი, და გამოირკვა, რომ ბევრგან დღესაც სწარმოებს ბრძოლა ძველის კოლლექტივისმისა ახალს კერძოობას ანუ ინდივიდუალისმთან.

საინტერესო ფაქტია, რომ კოლლექტივისმი თითქმის ყველგან, სადაც კი იმის ცოცხალი ნაშთები აღმოაჩინეს, პირველს ხანებში იმ ერის განსაკუთრებითის ნაციონალურის ხასიათის გამოხატულებად მიიჩნიეს, რომლის ცხოვრებაშიაც ჰხედავდნენ იმას. გერმანელებს ერთი ხანობა დიდად მოჰქონდათ თავი ამ კოლლექტივისმით მიწის მფლობელობის საქმეში და ეს ისტორიული მოვლენა განსაკუთრებით გერმანულ ნაციონალურ სულის პრინციპად აღიარეს. მეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ ასეთივე კოლლექტივისმი ჰსუფევდა ერთს დროს ინგლისში. რუსებს „ობშჩინა“ ისეთს ფაქტად მიაჩნდათ, რომელსაც მთელის ევროპისთვის ჭკუის მასწავლებლობა უნდა გაეწია და რომელიც საფრანგეთის სოციალისტების კომმუნისადმი იდეალურ მისწრაფების განხორციელებად ჩასთვალეს. მეცნიერებამ, რა თქმა უნდა, მალე დაარღვია ეს ყალბი საბუთი რუსეთის ნაციონალურის სიამაყისა.

მიწის მფლობელობის საქმეში კოლლექტივისმი არც საქართველოს ცხოვრებისთვის არის უცხო ინსტიტუტი. პირიქით, ჩვენის ქვეყნის მრავალს კუთხეში დღესაც ცოცხალია ხალხის უფლებრივ ცნობიერებაში ეს პრინციპი და ზოგჯერ ეხლაც დიდის ძლიერებით იჩენს ხოლმე იგი თავს. მართლია, ჩვენი პუბლიცისტიკა და პრესსა ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენის ლიტერატურის სიმწირის ნიშანია და არა ქართულის ცხოვრების განსაკუთრებულ სოციალურის ისტორიისა. 1880—1886 წლებში, მაგალითად, ქიზიყის თითქმის ყოველს სოფელში გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა მიწის სათემო მფლობელობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის, ე. ი. ქიზიყის ისტორია განიცდიდა ერთ-ერთ სოციალურ ისტორიის დიდ მნიშვნელოვან მომენტს კოლლექტივისმისა და ინდივიდუალისმის ბრძოლისას, რომელიც მაშინ იქ კოლლექტივისმის გამარჯვებით დასრულდა, *) მაგრამ სწორედ ამ ხანებში ქართულის მწერლობის მესვეურებ[illegible]დგინეს, ჩვენი ცხოვრება უშინაარსოა, შინაური საქმეები არა გვაქვს და ამიტომ ბოდიშს ვიხდით, რომ შინაურს მიმოხილვას ვერ გაძლევთ ჩვენი პრესსაო. აშკარაა, მწერლობა თავის საკუთარს უშინაარსობას ქართულს ცხოვრებას ახვევდა თავზე... სულ ორი-სამი წელიწადი არ იქნება, რაც სათემო მფლობელობის შესახებ ტფილისის მაზრის სოფ. ბარალეთში ატეხილი ბრძოლა გათავდა, და ეხლა ასეთივე ბრძოლა იწყება თელავის მაზრის სოფ. აკურაში, და აგრეთვე რამდენსამე სხვა სოფელში. ქართველს მიწის მუშას, გლეხს, დღემდე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ის აზრი, რომ მიწა საერთოა, სათემო და იმისი ნაყოფი იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც ოფლს იწურავს და ოფლითა ჰრწყავს ადგილს; მიწის სიმცირე ან, უკეთ რომ ვსთქვათ, უთანასწორობა მიწის დანაწილების საქმეში ქრონიკული ავადმყოფობაა კერძო საკუთრების პრინციპის გამეფებისა მიწის მფლობელობაში და ქართველი გლეხი ყოველთვის, როდესაც კი გადამეტებულად შეაწუხებს ხოლმე იმას ეს უთანასწორობა, აუცილებლად იგონებს სათემო მფლობელობის სისტემას და სცილობს იმის გაბატონებას კერძო საკუთრების პრინციპზე.

ჩვეულებრივ, სათემო მფლობელობის სისტემის დასამყარებლად გლეხები თხოულობენ, რომ ყველა მიწები, რომლებიც-კი სოფლის მცხოვრებთა მფლობელობაშია, ხელახლა იქმნას დაყოფილი მცხოვრებთა შორის თანასწორად, ისე რომ გაუქმდეს მიწის მფლობელობის უთანასწორობა. ზოგან მიწის დაყოფის განახლებას სისტემატიურად ახდენენ ყოველს სამს ან ოთხ წელიწადში ერთხელ, ზოგან ხელახალის დაყოფის ვადას არა ჰნიშნავენ და ყოველთვის ასეთი დაყოფა ახალის ბრძოლის შედეგად მოხდება ხოლმე. მიწის დაყოფა ამგვარად პირდაპირ ეწინააღმდეგება კერძო საკუთრებას და ებრძვის მიწის უთანასწოროდ განაწილებას. ქიზიყში მიწის დაყოფას ჩვეულებრივ წინააღმდეგობას უწევდნენ და უწევენ დღესაც ეგრედ წოდებულ „დაჩემებულ“ ადგილების მფლობელნი, რომელთაც ჰსურთ კერძო საკუთრების პრინციპის განმტკიცებით სხვაზე მეტის ადგილების მფლობელობა შეინარჩუნონ.

იმ სოფლებში, სადაც მხოლოდ სახელმწიფო გლეხები სცხოვრობენ, სათემო მფლობელობის პრინციპს კიდევ შეუძლიან გაუმკლავდეს კერძო საკუთრების მეოხებით მიწის უსამართლო დანაწილებას, მაგრამ ეს პრინციპი უძლურია და უადგილო იქ, სადაც გლეხი მებატონის მიწაზე სდგას, როგორც დროებით ვალდებული. დროებით ვალდებული გლეხი მიწის პატრონი არ არის, ის მხოლოდ მფლობელია, მიწა-კი წინანდელის ბატონის საკუთრებას შეადგენს; დროებით ვალდებული გლეხი კანონის ძალით თავის მიწას მებატონის ნებადაურთველად ვერც ვერავის გაუცვლის, ვერც ვერავის უწილადებს. თავისთავად ცხადია, მებატონის ინტერესი მოითხოვს, რომ იმის ვალდებული გლეხი მდიდარი და ღონიერი იყოს, რადგან ღარიბს და უქონელს ვერაფერს გამოართმევს, და ამიტომ არც თანახმა გახდება, რომ იმისმა შეძლებულმა გლეხებმა მიწა სხვას უწილადონ. ამ პირობებში სათემო მფლობელობა დროებით—ვალდებულ გლეხთა სოფლებში სრულიად უნდა მოსპობილიყო და მოისპო კიდეც. ქიზიყმა ბატონ-ყმობა თითქმის სულ არ იცოდა. იქ დროებით ვალდებული გლეხი იშვიათი შემთხვევაა და სათემო მფლობელობაც დღემდე თითქმის ყველა სოფელში დაცულია; სოფელი აკურა თელავის მაზრაში მდებარეობს, ამ მაზრაში 80 პროცენტამდე გლეხობა დროებით ვალდებულნი არიან, მაგრამ თითონ სოფ. აკურაში-კი მხოლოდ სახელმწიფო გლეხები მოსახლეობენ და აი სწორედ ამ სოფელში წამოაყენა ხალხმა სათემო მფლობელობის პრინციპი.

მართალია, ის აზრი, რომ მიწა ყველას უნდა ეკუთვნოდეს და არავის კერძო საკუთრებას არ უნდა შეადგენდესო, ბევრგან საქართველოს გლეხობის გულში ისევა სცოცხლობს, მაგრამ ამ ცხოველმყოფელს აზრს 1867 წლის დაუმთავრებელმა საგლეხო რეფორმამ ისე ხელოვნურად შეაკვეცა ფრთები, რომ ჩვენის გლეხის აზრთა წყობილებისა და ეკონომიურ ცხოვრების რეალურ პირობებ შორის უფსკრული დაიბადა, რომელიც ეხლანდელის მოძრაობის ერთ-ერთს მიზეზად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ვამბობთ მიზეზადო და ამ სიტყვას მკითხველის ერთ-ერთ განსაკუთრებითი გულისყური გვინდა მივაქციოთ, რადგან საგლეხო მოძრაობის სათავეს ჩვენებურ გლეხის ცხოვრების მრავალმხრივი, თითქმის განუზომელ სიღრმის უკუღმართი მდგომარეობა შეადგენს და არა ერთი რომელიმე გარემოება.

გ. რ.

---

*) Матерiалы для изученiя экономич. быта государствен. кресть. Закавказ. края. Т. IV Ч. II стр. 214—215.

გურიის ამბები

3 მარტს მივაღწიეთ სურების ხეობას, გურიის მთა-გორიან კუთხეს. თვალს ავლებ მთების თვალ-უწვდენელ ფერდობებს და გიკვირს, რანაირად უნდა იცხოვროს აქ კაცმა, რა სარჩო-საბადებელი უნდა გამოსწუროს ამ ხრიოკ ადგილებს, სადაც ადამიანი ფეხს ვერ დაიმაგრებს მიწაში თესლის ჩასაგდებად. მართლაც გამწარებულია სურებლების ყოფა-ცხოვრება. ბუნებასთან მუდმივმა სასტიკმა ბრძოლამ უდროოდ დააბერა სურებლები. ზურგი მოგვწყვიტა მთებში ტვირთის ზიდვამო, შემომჩივლეს აქაურმა გლეხებმა. ვერც ხარი და ვერც ცხენი ამ ფერდობზე ფეხს ვერ დაიმაგრებს. ხელით უნდა ვიმუშაოთ, წელებზე ფეხი უნდა დავიდგათ, რომ ორიოდე მუჭა სიმინდი მოვიყვანოთ ჩვენი ცოლ-შვილის გამოსაკვებადაო. წვიმა არ მოვა ისე, რომ ჩვენი მოსავალი ნაწილ-ნაწილად არ ჩამორეცხოს, არ გააავერანოს ეს ჩვენი ისედაც ხრიოკი მთის ფერდობები. მართლაც გული სევდით გევსებათ, როცა ფიქრობთ იმაზე, რა გაჭირვებით უნდა დაახწიოს აქ ადამიანმა თავი შიმშილს, რანაირად ყოველ წამს ყალხზე უნდა იყოს შემდგარი მთელი იმისი არსება ბუნების მოულოდნელ მოვლენა-ცვლილებათა შემხედვარე. ქალაქელი კაცი, მყუდრო სამსახურში მყოფი, ვერც-კი წარმოიდგენს ამ ხალხის უკიდურეს გაჭირვებას. ქალაქელი კაცის ჯამაგირს ბუნება, ვერაფერი გრიგალ-ქარიშხალი ვერაფერს ავნებს, ვერას გზით ვერ ჩამორეცხავს ვერც ერთი აზვირთებული ღვარი იმ ჯამაგირს, რომელიც მაგალითად, გამუდმებით, თვითეული თვის ოცს ეძლევა მოხელეებს. სურებლები-კი ამ მხრივ ბუნების ანაბარა არიან მიტოვებულნი და ამავე დროს ამ გამწარებულ ხალხს აწვალებენ და ატყავებენ ისინი, რომელთაც ბუნების კლანჭებს დაახწიეს თავი და მყუდრო შემოსავლის წყაროსთან მოაწყვეს თავისი კერა.

გარედ ჩვენ ვერსად ვერ მივდივართ საშოვარზე, მითხრეს სურებლებმა; აქაურ სუფთა, წმინდა ჰაერს შეჩვეული ჩვენებური კაცი სხვა ადგილას რომ წავა, იხაშმება, სნეულდება, ვერ სძლებს იქ. ძალა-უნებურად აქ უნდა დავრჩეთ ყველანი და გამწარებული ჩვენი ხვედრი ავიტანოთ. ხელობის მცოდნე კაცები მეტად მცირეა სურებში. ვაზი ამ მთიან ადგილებში სუსტად ხეირობს, ასე რომ სიმინდი ერთად-ერთი წყაროა სურებელთა სარჩენი და იგიც მცირე, საჰაპან-წყვეტო.

კრებასთან ლაპარაკი რომ დაიწყო კრიმ-გირეიმ, აქაც იკითხა, თუ ვინმე არა სანდო პირნი არიან თქვენ შორის, მითხარით და დავითხოვო. კრებამ დაუსახელა რამდენიმე კაცი და ამასთანავე გაუცხადა, თუ უნდათ დარჩნენ კრებაზე ეს კაცები. ჩვენ მხოლოდ გვსურდა მათდამი ჩვენი უნდობლობა გამოგვეცხადებიაო. ისე-კი ჩვენ არავისი არ გვეშინია, როგორც უნდათ, ისე მოიქცნენო.

„მე კარგად მახსოვს ბატონ-ყმობა“, დაიწყო ერთმა ხანში შესულმა გლეხმა: „როცა გამოგვიცხადეს, ბატონი და ყმა იყრებაო, მხიარულება გვეუფლა, ვიფიქრეთ, რომ ახლა გვეშველა სწორედ და გადავაგდებთ კისრიდან ჩვენ დამღუპველ მძიმე უღელსაო. მაგრამ ჩვენი მხიარულება ფუჭი გამოდგა: „უსტავნოი გრამოტებით“ მარტო სამოსახლო ადგილები, და პატარა საყანეები მოგვცეს, საუკეთესო ადგილები კი ჩამოგვიჭრეს მემამულეების სასარგებლოდ. მერე ჩვენსა და მებატონეს შორის ჩვენი „სულის ამომშპობი“ მოურავი ჩადგა და სულ გაგვატყავა. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი მოგვიმატეს და მოგვიმატეს მემამულეებმა გადასახადი. ვინც თავი დაიხსნა მებატონისაგან, დიდ ვალში ჩავარდა, რადგან ნასესხები ფულით გაინთავისუფლა თავი. ბოლოს ისე მოხდა, რომ ვალით დატვირთული ჩვენი ადგილები ისევ ჩაიგდეს ხელში მემამულეებმა. ეხლა, პაწია ანბანი რომ ვისწავლეთ, ჩვენით მივხვდით, რომ ჩვენი ნაოფლარი და ნაწვავ-ნადაგი მიწის შესყიდვა დიდი ცოდვა და უსამართლობა იყო და მოვითხოვთ ეს ფული ისევ ჩვენ დაგვიბრუნდეს. დახედეთ ამ ჩვენ ხრიოკ მთებს. კალათით თესლი არ აიტანება ამ ფერდობებზე. ჯიბით უნდა ავიტანოთ, ფეხს ძლივს ვიმაგრებთ ამ ფრიალოზე და ისე ვთესავთ სიმინდს. მოსავლის ნახევარი მემამულეს მიჰქონდა, მოურავს ცალკე ქრთამები დასჭირდა. იმდენად გავმწარდით, რომ ბოლოს მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ მემამულეთა ადგილებში მუშაობაზე ხელი აგვეღო. ეს ჩვენი თანხმობა და ძმური გადაწყვეტილება პოლიციამ აჯანყებად ჩასთვალა და მათრახებით შემოგვესია. გაამრავლა ჩვენ შორის თავისი ჯაშუშები, ააწიოკა და დალუპა მრავალი ხალხი. გუბერნატორიც ჩვენ შემოგვესია მაზრის უფროსითა და პრისტავებით. 60—80 წლის მოხუცებულნიც არ დაზოგეს და გაგვიმათრახეს. რამდენი ჩვენი მეზობელი ეხლა ციხეში ზის და ნელ-ნელა იღუპება. ვინ უნდა არჩინოს ულუკმაპუროდ დარჩენილი მათი ცოლ-შვილი“?

კრებამ მოითხოვა, რათა არჩეულ იქმნან ხალხის მიერ სანდო პირები, რომელნიც განაწეს-რიგებენ ყველა ადგილებზე ბაჟსა და გადასახადს. მოითხოვა სანადელო, საეკკლესიო და სახელმწიფო გლეხების განთავისუფლება თავ-თავიანთ მიწების მისაკუთრებით. „ტყე მემამულეებს და მთავრობას ეკუთვნისო“, გამოგვიცხადა მთავრობამ: უთხრა კრიმ-გირეის ერთმა დეპუტატთაგანმა,—მემამულეებმა და ხაზინამ შეაკავშირეს ღონე, მოგვერივნენ და ჩაიგდეს ხელში ყველა ტყეები. უბრალო ფიჩხის აკრეფის ნებასაც არ გვაძლევენ. წაქცეული ხეები უსარგებლოდ ლპება და იღუპება; ჩვენ კი ხელი რომ მივაკაროთ, „ობიეზდჩიკები“ თოფებით დაგვესევიან. ერთი ამისთანა სამწუხარო შემთხვევაც მოხდა. შუაღამეზე გამოჰქონდა ერთ საწყალ ჩვენ მეზობელ გლეხს ყავარი ტყიდან. გროში არ ებადა საცოდავს და უბაჟოდ მოჰქონდა ეს მისთვის მეტად საჭირო მასალა. გზაში „ობიეზდჩიკი“, ტყის მცველი დახვდა, თოფი დაუშინა და მოჰკლა. გვეგონა მთავრობა დასჯიდა, დაჰკარგავდა ამ ტყის მცველს. მაგრამ მკვლელობის შემდეგ დავინახეთ, რომ იგი ძალიან მხიარულად მოდიოდა და „მოიკრიმანჭულებდა“ (სიმღერას ამბობდა). ეს კაცი მალე კიდევაც დააწინაურა მთავრობამ—ტყის მცველების უფროსობა მისცა.

ტყე, რომლიდან ჩვენ დიდის ბაჟით გამოგვაქვს მასალა, სქელია. არ შეიძლება, რომ ჩვენ მიერ მოჭრილმა ხემ მეზობლად მდგარი ხეები არ დააშავოს და არ დაამტვრიოს. ამ დამტვრეულ ხეების ზარალსაც გვახდევინებენ ხაზინა და მემამულეები. თვითეული ხის მოსაჭრელად ჯერ მოწმობა უნდა ავიღოთ ტყის მცველისაგან, მერე უნდა მოვიკიდოთ ცივი მჭადი ზურგზე და წავიდეთ 30 ვერსის მანძილზე „ლესნიჩთან“ ოზურგეთში; ლესნიჩი ან მძინარე დაგვხვდება ან სადმე სხვაგან წასული დარჩება; უნდა „ვუყურყუტოთ“ რამდენიმე დღე. ბოლოს მესამე ან მეოთხე დღეს გვეღირსება იმისი ნახვა. როცა მოჭრილი ხე გავყიდეთ და ვიანგარიშეთ მთელი ეს ჩვენი წვალება და დაკარგული დრო, გამოვიდა, რომ დღეში 20-25 კაპ. დავიმუშავეთ. ვისაც ფული არა აქვს, (ამისთანა კაცი-კი მრავალია ჩვენში) უსათუოდ ქურდულად უნდა შევიდეს ტყეში და მოსჭრას ხე. უცეცხლოდ ხომ ვერ გაჰყინავს თავის ცოლ-შვილს. ტყის მცველები ამ ჩვენ მეზობლებს ოქმს უყენებენ. 80-100 მან. ჯარიმას ადებს მათ სასამართლო ან ციხეში ამწყვდევს. ჯარიმა-გადახდილი კაცი ხომ სამუდამოდ დაღუპულ-გაღატაკებულია. ჩვენ მამაპაპათაგან გაგვიგონია, რომ მთელი ეს ადგილები სოფლის ყოფილა და ახლაც ვითხოვთ ისევ სოფელს დაუბრუნდეს“.

სიტყვა რომ დაასრულა დეპუტატმა, წრიდან გამოვიდა ერთი ღრმა მოხუცებული დეპუტატი, განუმარტა კრიმ-გირეის რა ძნელი და ძვირია დღეს შვილების აღზრდა-განათლება და მოითხოვა კრების სახელით უფასო სწავლების შემოღება.

შემდეგმა დეპუტატმა მწარე ირონიის კილოთი აუწერა კრიმ გირეის, როგორ დასეირნობენ ზაფხულობით სურების სუფთა-ჰაერიან მთებში მოხელეები თავის ცოლ-შვილით და უფასოდ სარგებლობენ გლეხების ცხენებით. მიწის მზომელებმა არა მარტო თავისი ცოლშვილი, თავისი საყვარლებიც შეასკუპეს ჩვენ ცხენებზე და მთლად გადაატყავეს ჩვენ ჯაგლაგებს ზურგიო.

მღვდლების შესახებ დაიწყო შემდეგ ლაპარაკი ერთმა დეპუტატმა და მოიყვანა ისეთი მაგალითი, როცა მან, მამასახლისის „პომოშნიკად“ რომ იყო, ბავშების მარჩენალი უკანასკნელი ძროხა გაუყიდა ერთ ღარიბ გლეხ-კაცს მღვდლის ვალის გასასტუმრებლად. უკანასკნელ ავეჯს ვართმევდი გლეხებს გადასახადში და მათი ოჯახი ტირილით მომდევდა უკან. რა უნდა მექნა? —ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ნაობახტში გამომალპობდნენ.

გამმიჯვნელ მოხელეებს ძლიერ ემდურიან სურებლები. ყველაფერი ჩვენგან ჰქონდათ უფასოდაო: კონახი (სახლი), ცხენი, შეშა,

---

ფელეტონი

ჩვენი სკოლის უმთავრესი საჭიროებანი.

საქართველოს ყველა დაბალ და საშუალო სკოლაში სწავლა სამშობლო ენაზედ უნდა დამყარდეს, საზოგადოებას უნდა მიეცეს უფლება თვალყური ადევნოს სკოლის ცხოვრებას და თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი, სკოლის მართვა-გამგეობა ადგილობრივ ელემენტს უნდა მიენდოს, სკოლა განთავისუფლებულ უნდა იქმნას გაუნათლებელ ხელმძღვანელებისაგანაო, ვწერდით წარსულ წერილში *). ამასთან ისიც ვთქვით, რომ აქ აღნიშნულ რეფორმების შემოღებით სკოლას არ მიეცემა კიდევ ნორმალური ცხოვრებაო. დღეს გვსურს განვუზიაროთ საზოგადოებას ჩვენი აზრი სკოლის „კიდევ სხვა მოთხოვნილებათა“ ზოგიერთ კითხვების შესახებ.

სკოლის ცხოვრებას რომ სასურველი და ნაყოფიერი მიმართულება მიეცეს, უსაჭიროესად მიგვაჩნია სკოლის განთავისუფლება მთავრობის ოპეკისაგან და სკოლის უახლოეს ხელმძღვანელთა კორპორაციის სრული და ფართო ავტონომია. მართლაც, რა მნიშვნელობა ექნება ზემოხსენებულ რეფორმების შემოღებას, თუ სკოლის უახლოეს ხელმძღვანელთა კორპორაციას არ მიეცა უფლება თავის კორპორაციის წევრებისა და სკოლის გამგის არჩევისა და ამასთან უფლება თავის აზრის და სურვილის თავისუფლად განხორციელებისა? განა შეიძლება სკოლის ნორმალურ ცხოვრებასა და სასურველ მიმართულებაზედ ლაპარაკი, თუ მასწავლებელთა კორპორაციას არ მიეცა უფლება გაანთავისუფლოს სკოლა „ილოვაისკისებური“ ისტორიისაგან ან ბუნების-მეტყველობის იმგვარ სახელ-მძღვანელოებისაგან, სადაც ბუნების-მეტყველობის მაგიერ „დაბადების“ შინაარსია მოყვანილი? რას გახდებიან საზოგადოება, სკოლის გამგე, მასწავლებელნი და აღმზრდელნი, თუ-კი მთავრობის ოპეკის გამო იძულებულნი იქნებიან ყოველი თავისი აზრი, დადგენილება და მოქმედება შეუფარდონ მთავრობის წარმომადგენელთა სურვილს და მოთხოვნილებას?

სიყვარული დედ-მამისა შვილებისადმი, ცხადია, უძლიერესი გრძნობაა, მრავალ მშობელთა შორის, რა თქმა უნდა, ბევრი განათლებული და ბავშის აღზრდაში გამოცდილი პირი მოიპოვება, ხოლო მასწავლებელთა და აღმზრდელთა კორპორაცია სკოლასთან უფრო დაახლოვებულია, ვიდრე პეტერბურგში ან თუნდ უფრო ახლოს მყოფი ვინმე დეისტვიტელნი სტატსკი ან ტაინი სოვეტნიკი. დიახ, სწორედ ამიტომაც უსაჭიროესად და სრულიად კანონიერად მიგვაჩნია სკოლის მართვა-გამგეობა და ზრუნვა მხოლოდ საპედაგოგო საბჭოს მიენდოს, საბჭო-კი უნდა შესდგებოდეს როგორც მასწავლებელ-აღმზრდელთა კორპორაციისაგან, ისე მშობელთა წარმომადგენელთაგან.

დღევანდელ სკოლის პროგრამაც რეფორმას საჭიროებს. სკოლამ უნდა ჩაუნერგოს და შეუსისხლხორცოს ბავშვს სიყვარული შრომისა, ცოდნისა, სიმართლისადმი. დღეს-კი სკოლა ბავშვს უფრო „ზუბრისტიკას“ ასწავლის. უმთავრესი მიზეზი ამ არა სასურველ მოვლენისა, ჩვენის აზრით, ისიც გახლავთ, რომ სკოლის პროგრამა არ შეეფერება ცხოვრებას და მოზარდ თაობის მოთხოვნილებას. საშუალო სკოლის პროგრამაში გარდა იმისა, რომ რუსული ენის ადგილი სამშობლო ენას უნდა დაეთმოს, ჩვენის აზრით, საჭირო, შეტანილ იქნას მოკლე მსოფლიო და სამშობლო ისტორია, მოკლე მსოფლიო და სამშობლო გეოგრაფია, ანგარიშის შესწავლას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და ამასთან პრაქტიკულ ცოდნას და ბუნების-მეტყველობის ზოგიერთ საგნებსაც სასოფლო სკოლის ცხოვრებაში უნდა დაეთმოს საპატიო ადგილი, რაც შეეხება საშუალო სკოლას, სადაც აგრეთვე ქართულად უნდა იქმნეს სწავლება, პროგრამაში უნდა შეტანილ იქნას ქართული ენა, ისტორია, სამშობლო გეოგრაფია, მსურველთათვის სპარსული და სომხური ენაც, ამას გარდა სკოლის დღევანდელ პროგრამიდან განდევნილ უნდა იქნას ძველი ენები, მათი ადგილი-კი უნდა დაეთმოს ბუნების მეტყველობის ზოგიერთ საგნებს, და სახელმწიფოთა წეს-წყობილების (государственное право) და პოლიტიკურ ეკონომიის შესწავლას. დიდად საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე საშუალო სკოლაში ხელოვნების სხვა-და-სხვა დარგის შესწავლა, უმთავრესად-კი მუსიკისა და მხატვრობისა. სხვა მხრივ პროგრამა დღევანდელ საშუალო სკოლისა, ჩვენის აზრით, შესაძლებელია თითქმის შეუცვლელი დარჩეს. ჩვენა ვსთქვით „თითქმის“, იმიტომ რომ, მაგალითად, მსოფლიო ისტორიის და ფიზიკის არსებული პროგრამა შეუძლებელია არ შევათანხმოთ დღევანდელ ამ მეცნიერებათა მოთხოვნილებას და მდგომარეობას, ხოლო დაწვრილებით აღნიშვნა იმისა, თუ რაში უნდა გამოიხატოს ეს ცვლილება თანამედროვე სკოლის პროგრამისა, ამის აღნიშვნა ამ წერილში აზრად არა გვაქვს.

ზევით აღნიშნული საგნები მომავალ სკოლის პროგრამისა, ჩვენის აზრით, უფრო შეეფერება თანამედროვე მოთხოვნილებას და ამიტომაც ბავშვს იგი უფრო დააინტერესებს, წაახალისებს და სწავლა-შრომასაც უფრო შეაყვარებს. ვსარგებლობთ და იმასაც ვიტყვით, რომ საჭიროა დაბალ და საშუალო სასწავლებელთა პროგრამები ისე იყოს შედგენილი, რომ დაბალ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ თავისუფლად შეეძლოთ საშუალო სასწავლებელში შესვლა. ეგრეთვე საჭიროდ მიგვაჩნია საშუალო სასწავლებელი განაწილებულ იქნას ორ განყოფილებათ: უმცროსი ანუ პროგიმნაზია და უფროსი ანუ გიმნაზია. მომავალ პროგიმნაზიაში უნდა მოთავსდეს პირველი ოთხი კლასი დღევანდელ საშუალო სასწავლებლისა, ხოლო მომავალ გიმნაზიას უნდა შეადგენდეს მხოლოდ ოთხი უფროსი კლასი დღევანდელ გიმნაზიისა. პროგიმნაზიაც და გიმნაზიაც უსათუოდ სხვა-და-სხვა ადგილას უნდა იყოს მოთავსებული. ამ გვარ ჩვენ სურვილს საფუძვლად უმთავრესად ის მოსაზრება აქვს, რომ პედაგოგიურის მხრივ დიდად სასარგებლოა 7-14 წლის და 14-19 წლის ყმაწვილების განცალკევება.

მოსწავლე ახალგაზრდობის მდგომარეობა, უეჭველია, ბევრს ცვლილებას საჭიროებს. მოსწავლე ახალგაზრდობის მდგომარეობა დღეს არა სასურველ პირობებშია: კანონი მას არავითარ უფლებას არ აძლევს, მათი სულიერი და გონებრივი მოთხოვნილებანი სრულიად შეზღუდულია და აბა როგორ ისწავლოს, როგორ განავითაროს ბავშვმა თავისი გრძნობა, გონიერება და ხასიათი? სკოლამ უნდა უარჰყოს დღეს არსებული არა სასურველი რეჟიმი. აზრი, მსჯელობა და ხშირად მოქმედება ბავშვისა, თუნდ იგი შემცდარიც იყოს, არ უნდა იწვევდეს სკოლის მხრივ დასჯითი განკიცხვას. სკოლამ უმთავრესად შეცდომის აღიარებით და დარიგებით უნდა იმოქმედოს ბავშვზედ. ამას გარდა მოწაფეთ უნდა მიეცეთ უფლება წრეების დაარსებისა მეცნიერების სხვა და სხვა დარგის და კითხვების შესწავლისათვის, უნდა მიეცეთ უფლება იქონიონ საამხანაგო სასამართლო, ნებართვა სკოლის ჟურნალის გამოცემისა, უფლება საპედაგოგო საბჭოს წარუდგინონ მოხსენება თავიანთი საჭიროების შესახებ და სხვა. სამაგიეროდ, მოსწავლეთ უნდა მოეთხოვოთ ყოველივის პატივის ცემით და ნდობით მიიღონ საბჭოს დადგენილება და მოთხოვნილებანი და ყოველივე დარღვევა წესისა თვით მოწაფეთაგან უნდა იყოს გარჩეული.

მოკლედ რომ გავიმეოროთ, დღევანდელ წერილის აზრი შემდეგია: სკოლა განთავისუფლებული უნდა იქნას მთავრობის ოპეკისაგან, საპედაგოგო საბჭოს უნდა შეადგენდნენ როგორც სკოლის მასწავლებელნი და აღმზრდელნი, ისე მოწაფეთა მშობლების მიერ არჩეული პირნი ანუ წარმომადგენელნი, საპედაგოგო საბჭოს უნდა მიენიჭოს ავტონომიური უფლებანი, სკოლის პროგრამა უნდა შეიცვალოს თანამედროვე მოთხოვნილების მიხედვით, დაბალ სასწავლებელთა კურს დამთავრებულთ უნდა მიეცეთ საშუალება განაგრძონ სწავლა საშუალო სასწავლებელში, საშუალო სასწავლებელი უნდა განაწილდეს ორ განყოფილებად, „პროგიმნაზიად“ და „გიმნაზიად“ და მოსწავლეთა უფლება უნდა გაფართოვდეს.

გუ—ლი.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2759.

მუშები შინ დაგარედ სამუშაოზე, ნახშირი და სხვა.

„როცა ჩვენ გავიფიცენით,—სთქვა შემდეგმა დეპუტატმა,—ჩვენმა მტრებმა შეიგნეს, რომ ჩვენი შეერთება და საქმის გატანა ერთი იქმნებოდა; ამიტომ ცალ-ცალკე გვიძახოდნენ, ციხეში გვამწყვდევდნენ და ციმბირში აგზავნიდნენ ჩვენ შვილებს.“ ერთმა დეპუტატმა მოუთხრო კრიმ-გირეის, როგორ დაეცნენ იმის შვილს—გიმნაზიელს თავზე პოლიციელები ტფილისში შუაღამისას, გაუჩხრიკეს ოთახი, ბანკის წიგნი ჩაიგდეს ხელში, რომლის ძალით იქ შეტანილი ფულის, 725 მან., გამოტანა შეიძლებოდა, როგორ გამორიცხეს იმისი შვილი გიმნაზიიდან ფულის შეუტანლობისა გამო და როგორ ამაოდ ჩაიარა იმის პროტესტმა და ბანკის წიგნი დღემდე არ დაუბრუნეს. სალდათობის შესახებ სურებლების პროტესტი მეტად მძლავრი და გრძნობით სავსე იყო. „საღვთო წერილის წინააღმდეგ მცნებას ასწავლიან ყაზარმებში ჩვენ შვილებს—მოჰკალ მოყვასი შენი“. კარგ, ჯან-საღ შვილებს გვაშორებენ, სამუდამოდ სჩაგრავენ, გამოაყრუებენ და ვისაც უნდა იმათ მიუსევენ უფროსები. აი ეხლა ასწავლიან, რომ ჩვენი გარეშე მტრები—იაპონელებია, შინაური კი—ჩვენ, მათი მშობლები, ძმები და მეგობრები. რას ვერჩით ჩვენ იაპონიას? განა რუსეთში ცოტაა მიწა საცხოვრებლად. ალბად, მდიდრებს უჭირვებათ იაპონია თავის საქონლის გასასაღებლად. მერე რად იხოცება იმათ გულისათვის ჩვენი შვილები? რა დააშავა ამ უბედურმა ხალხმა, რომ უმოწყალოდ იჟლიტება? ჩვენც მოგვისიეს ჩვენი ძმა-სალდათები. როცა სამართლიანი მოთხოვნილება გამოვუცხადეთ მთავრობას, მაშინ კარგად მივხვდით, ვინ მიაჩნია მთავრობას შინაურ მტრებად.

გავიგეთ რომ, 200 მილიონ მანეთად ღირებული გემები ააფეთქა ჩვენმა მთავრობამ პორტ-არტურში. ეს ფული ხომ სულ ჩვენ ზურგზეა ამძვრალი. მერე რამდენი სურსათი დასწვა ჩვენმა ჯარმა, რამდენი მილიონი ჩაღუპა ჩვენმა მთავრობამ მანჯურიის უსარგებლო რკინის გზაზე. ყველა ეს ჩვენი ნაოფლარი, ჩვენი მუშა ხალხის სისხლით ნაბანი ქონებაა.

ეხლა ჩვენ შესახებ ავრცელებენ ხმებს სალდათებში, გურულების მოძრაობა ეროვნულია, თავისი მეფე უნდათო. სიცრუეა ყველა ეს. ჩვენთვის სულ ერთია რუსი, სომეხი, თათარი. ჩვენ ყველა ქვეყნის მუშებს ძმობას ვუცხადებთ. მთავრობისაგან ჩვენ არაფერს მოველით. კარგად ვიცით, როგორ დაუხვდა მშვიდობიან მუშებს მთავრობა პეტერბურგში. ისეთი გულ-უბრყვილონი არა ვართ, რომ ამის შემდეგ იმედით შევყურებდეთ მთავრობასო, დაასრულა თავისი შესანიშნავი სიტყვა სახალხო ორატორმა.

საზოგადო მოთხოვნილებანი სურებისა იგივე იყო რაც გურიის სხვა საზოგადოებათა.

ი. ნაკაშიძე.

ხალხური სასამართლო გურიაში

რა კი გურიის ხალხი შეუდგა ახალს ცხოვრებას და უარჰყო და გააუქმა ძველი წესები, უეჭველია, ამ გაუქმებას არ აცდებოდა ყველაზე უწინარეს დღევანდელი სასამართლო. ისეთი მაღალი დანიშნულება აქვს სასამართლოს—უნდა გააგონოს ხალხს მართალი სიტყვა, დაადგინოს მართალი განჩინება, სამართლიანი კანონი; ხდება უთანხმოება, შეტაკება, ერთის მეორისაგან დაჩაგვრა, შევიწროება და ხალხი მიდის სასამართლოში, რომელმაც უნდა შეარიგოს შეუთანხმებელნი, აღადგინოს დაჩაგრულის უფლება, დაიცვას სამართალი. ხალხი ეძებს სასამართლოში ცხოვრების სამართლიან მოწესრიგებას, შედის სასამართლოში, როგორც სამართალის ტაძარში, მაგრამ ნამდვილად კი ჰპოვებს შიგ უსამართლობას და სასამართლო არის მისთვის უკანონობის სახლი. ხალხი ხედავს, რომ სასამართლოში კანონის და სამართალის მაგიერ გაბატონებულია ქრთამი, მიკერძოება, ანგარება, პოლიტიკა, რომ სასამართლო ემსახურება მდიდრებს და შეძლებულებს, რომ ყოველი საქმე, თუმც სულ უბრალო იყოს, გრძელდება დაუსრულებლად; ხშირად მომხდარა, რომ საქმე არ გათავებულა 8—10 წლიწადს, მომკვდარან მომჩივან-მოპასუხეები და მოწმეებიც და მერე შესდგომია სასამართლო საქმის გარჩევას. ხალხი ხედავს, რომ სამართალი სწარმოებს მისთვის გაუგებარ ენაზე, მოსამართლეს მისი არაფერი ესმის და არც მას—მოსამართლესი, მოსამართლემ არა იცის რა მისი ზნე-ჩვეულების და ცხოვრების შესახებ; ხალხი ოხრავს და მოსთქვამს თავის გაჭირვებას, ლაპარაკი ვერ დაუსრულებია, იმდენი აქვს სათქმელი, და მისი ამდენი ტანჯვა და ტკივილი ორის სიტყვით უნდა გადასცეს მოსამართლეს უვიცმა და ყრუ მოენემ. მოსამართლე და მისი კანონი უცხოა ხალხისთვის, ხალხი ხედავს ამას და გაურბის მთავრობის სასამართლოს, რომელიც სძაგს და ეზიზღება; გაურბის განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც იწყებს განახლებულს, ადამიანურს ცხოვრებას.

დღეს გურიაში მთავრობის სასამართლო ფაქტიურად გაუქმებულია. დღევანდლამდის სამი სასამართლო მოქმედობდა ოზურგეთის მაზრაში: ლანჩხუთში, ჩოხატაურში და ოზურგეთში. პირველი ორი სასამართლო დღეს არ მოქმედობს, რადგან არავითარი საქმე არა აქვს; არამც თუ ახალი საქმე არ შედის სასამართლოში, ვისაც კი ძველი საქმე ჰქონდა, ყველა გააქვთ უკან. ოზურგეთში კი სრულიად დაკეტილია სასამართლო და იქ აღარ არის უკვე არც მომრიგებელი მოსამართლე და არც მისი თანაშემწე.

ყოველი საქმე ირჩევა ხალხისაგან არჩეულ მოსამართლეების მიერ, რომელთაც მიმართავენ თავად-აზნაურებიც-კი, რადგან ხალხის სასამართლო უფრო მალე და სამართლიანად არჩევს საქმეს, ვიდრე წინანდელი სასამართლო. ყოველს სოფელს ჰყავს თავისი მოსამართლეები, მაგრამ ყოველ საჩივრის გადასაწყვეტად მსურველთ შეუძლიანთ, მიჰმართონ სამედიატორო სასამართლოს. თვითონ სასოფლო სახალხო სასამართლო მოწყობილია ორ-ნაირად. ზოგან თავი კაცები 10—15 დღით ირჩევენ სამს მოსამართლეს, რომლებიც განიხილავენ საქმეებს და თავის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას მიანდობენ თავ-კაცებს; ამათვე უნდა ჩააბარონ სრული ანგარიში თავის მოქმედებისა. ზოგან კი თავი-კაცები მიიღებენ საჩივრებს, მერე ამოირჩევენ მოსამართლეების რამდენსამე ჯგუფს (თითო ჯგუფში სამი მოსამართლეა) და მათ შორის ანაწილებენ საქმეებს იმისდა მიხედვით, თუ როგორი ხასიათისაა საქმე. მოსამართლეები მაშინვე შეუდგებიან საქმეების გარჩევას და თუ ვერ გაათავეს, გადასდებენ შემდეგ დღისათვის. როგორც კი მორჩებიან მოსამართლეები საქმეებს, თავს ანებენ თანამდებობას და მათ ადგილზე თავი კაცები ირჩევენ სხვებს.

ხალხის მოსამართლეები მეტად მუყაითად, ბეჯითად და სინიდისიერად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. საქმის გარჩევა და გამოკვლევა ადვილია მათთვის, რადგან იცნობენ მომჩივან-მოპასუხეებს, იციან მათი ცხოვრება და ურთიერთ შორის დამოკიდებულება. როდესაც სამოქალაქო საქმე ირჩევა, მაშინ, რასაკვირველია, მიუსაჯავენ იმას, ვისაც რა ერგება, მტყუანმა მხარემ უნდა უზღოს ზარალი მართალს. როდესაც სისხლის სამართლის საქმეა გასარჩევი, მაშინ დამნაშავეს წინააღმდეგ ხმარობენ სასჯელად (გარდა ზარალის გადახდისა, თუ ეს ზარალი იყო) საჯარო განკიცხვას, გაძევებას, ბოიკოტს, საზოგადო სამუშაოს (გზების გაკეთება) და სხვას. საჩივრის განცხადება და საქმის წარმოება უმრავლეს შემთხვევაში სიტყვიერია.

ასეთია მოკლედ დღევანდელი ხალხური სასამართლო, მას განვითარება ესაჭიროება, მაგრამ დღევანდელის სახითაც გაცილებით სჯობია წინანდელს სასამართლოებს. გურიის სასამართლო ერთხელ კიდევ ნათლად გვიმტკიცებს, რომ ხალხის მოსამართლე უნდა იყოს მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული კაცი.

სიტყვა.

ახალი ამბავი

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. წერეთელმა თავის დეპეშის საპასუხოდ შემდეგი დეპეშა მიიღო კავკასიის **ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისაგან**: „თქვენს ბრიწყინვალებას და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ გულწრფელ მადლობას ვუცხადებ მილოცვისა და კეთილ სურვილთათვის. ჩემი განზრახვანი მაშინ აღსრულდება, როდესაც, ხელმწიფის სურვილის თანახმად, საზოგადოებრივ ძალთა საერთო დახმარებით სიწყნარე ჩამოვარდება და კავკასია აღყვავდება. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი“.

◆ 8 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მომუშავეებმა, ასე ათი საათი იქნებოდა, **მუშაობას თავი გაანებეს** და მოითხოვეს რკინის გზის უფროსის ივანოვსკის ნახვა. ბ. ივანოვსკიმ შეუთვალა, დეპუტაცია ამოარჩიეთ და გამომიგზავნეთო. დეპუტაციის არჩევა და გაგზავნა მუშებმა არ ისურვეს და დაიშალნენ. შეგროვდნენ ისევ იმავ დღეს ორ საათზე და კიდევ მოითხოვეს ივანოვსკი, მაგრამ ივანოვსკიმ ისევ ის შეუთვალა. მაშინ ხელოსნებმა გადასცეს სახელოსნოს უფროსს ქაღალდი ივანოვსკისთან წარსადგენად. ამ ქაღალდში 16 მუხლი იყო აღნიშნული. ზოგიერთი მოგვყავს: 1. უეჭველად მიიღეთ დათხოვნილი მუშები; 2. დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეთ და დაუბრუნეთ თავიანთ საქმეს; სანამ ამას არ ასრულებთ. არ გამოვალთ სამუშაოდ; 3. ყველას მოუმატეთ ჯამაგირები; 4. გააუქმეთ ის განკარგულება, რომ ვინც რუსული არ იცის, ის იქნება მიღებული სახელოსნოში; 5. ყველა წესები ქართულ ენაზე იყვეს დაბეჭდილი; 6. ომიანობის დროის წესები გაუქმებულ იქნეს; 7. წელიწადში ექვსი ბილეთი მოგვეცეს; 8. დაწესდეს რვა საათის სამუშაო დრო. პასუხის ვადად მომუშავეებმა სამი დღე დანიშნეს. 9 თებერვალსაც არ უმუშავნიათ.

◆ ორი დღეა, რაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგი მე-51 ნაწილის **მუშებმა უარი განაცხადეს** მუშაობაზე.

◆ დუშეთის მაზრაში, თანახმად მაზრის უფროსის შუამდგომლობისა, **ჯარი გაიგზავნა**.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისიდან ქართლში მსროლელთა პოლკის **ერთი ბატალიონი გაჰგზავნეს**.

◆ როგორც გორიდან გვატყობინებენ, ოთხშაბათს, 9 მარტს, ვიღაც უცნობ კაცებს **გაუტეხიათ ცნობილი გორიჯვრის მიძინების ტაძარი**. ქურდებს წაუღიათ წყვილი ბარძიმ—ფეშხუმი, კარსკვლავი, სამი კოვზი, ჯვარი, ორი ოეფში, ტრაპეზის წყვილი სანაწილე და სხვა.

◆ „კავ.“-ს სწერენ; „7 მარტს სოხუმში, ქალაქ გარედ, პოლიციამ აღმოაჩინა **მუშათა ყრილობა**. მუშებს უნდოდათ ქალაქში შესულიყვნენ, სხვა მუშებთან შეერთებულიყვნენ და უწესოებანი მოეხდინათ. მიღებულ ზომებით შეპყრობილ იქნა ორი აგიტატორი, რომელთაც აღმოაჩნდათ პროკლამაციები, იარაღი და წითელი დროშა, მთავრობის საწინააღმდეგო წარწერით. უწესოება მოსპობილ იქნა. მოძრაობა აფხაზთა შორისაც დაიწყო. აფხაზებს ვილაცები აქეზებენ და ისინიც მრავალ თვით-ნებობას სჩადიან, ართმევენ გადმოსახლებულ რუსებს ადგილებს და უარს აცხადებენ ხაზინის გადასახადების გადებაზე. 8 მარტს დილით საქალაქო სკოლის მოსწავლე მეგრელებმა დალეწეს თავისი და აგრეთვე რეალური სასწავლებელი. ამის შემდეგ მეგრელთა სოფლებიდან სოხუმისკენ დიდ-ძალი ხალხი წამოვიდა. ეს ხალხი სოხუმიდან ოთხი ვერსის მანძილზე შეაჩერა ოლქის უფროსმა. ხალხმა მოითხოვა წინა დღეს დაპატიმრებულ აგიტატორთა განთავისუფლება, რაზედაც უარი ეთქვა. შემდეგ ხალხი უკან დაბრუნდა და უწესოება ქალაქში აღარ მომხდარა. გუდაუთის ნაწილში ლიხნენები თავს დაეცნენ რუსის სოფელს და მოითხოვეს დასახლებულთა წასვლა.“

◆ 28 თებერვალს ქალ. თელავში, „კავ.“-ს სიტყვით, **უწესოებანი მოხდა**. ხალხმა, რომელშიაც 500 კაცამდე იქნებოდა, მოინდომა ბაზრის მოედანზე გასვლა, თან ჰყვიროდა: „გაუმარჯოს თავისუფლებას და ერთობასაო“. ხალხს უნდოდა უწინდელ ჩვეულებით ესარგებლნა და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოეხდინა. ხალხიდან სროლის ხმა გაისმა. მოწვეულ იქნა ერთი როტა სალდათებისა, რომელთაც შეკრებილნი გაჰფანტეს. შეტაკების დროს დაშავდა ბოქაული კუიუმჩიბაშევი და ფეხში დაიჭრა წინანდლელი გლეხი ვასილ ფირგნაშვილი.

◆ 27 და 28 თებერვალს, როგორც „კავ.“-ში ვკითხულობთ, შორაპნის მაზრაში **გადაუწვავთ** კაცხის და ბოსლევის სასოფლო სამმართველოები. დამწვარა ქაღალდები. საქარის სასოფლო სამმართველოში გლეხებს სოფლის მოხელეთათვის მუშაობაზე ხელი აუღებინებიათ და თვით სამმართველოც დაუკეტნიათ.

◆ 8 მარტს ბათუმის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებს, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, ლოცვის შემდეგ **განუცხადებიათ პროტესტი**—დღევანდელ პირობებში არ გვინდა სწავლაო. ნაწილი მოსწავლეებისა აქედან წასულა მარიამის ქალთა სასწავლებელში და მოუთხოვნია სწავლის შეწყვეტა, რაც მოსწავლე ქალებს შეუსრულებიათ. შემდეგ მოსწავლენი წასულან ქალთა პირველ დაწყებით სკოლისკენ, სადაც გაუფანტიათ.

◆ **მთავარ-მართებლის კანცელარიის** დირექტორი გენერალ-მაიორი ტროფიმოვი, როგორც გავიგეთ, ამ დღეებში პეტერბურგს მიდის სამსახურის საქმეების გამო. დირექტორი დაიბარა ნამესტნიკმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა.

◆ როგორც სად. სკრიდან გვწერენ, 9 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, ახლო-მახლო **სოფლების მცხოვრებნი დასცემიან** ნავთის მატარებელს. ამ მატარებლის ვაგონებიდან უნდა გადაესხათ ნავთი. შეკრებილთ ხელი შეუშლიათ, დაუჭრიათ და უცემიათ კონდუქტორის ჩაიტსკისა და ყარაულის არსენ სიკონოსათვის. დაშავებულნი გორის ქსენონში გაჰგზავნეს.

◆ ბაქოს ქალაქის მოურავმა აცნობა ტფილისისას, რომ 8 მარტს ბაქოს ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ იქმნა სამი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია, რომელიც უნდა გაიგზავნოს პეტერბურგში და იშუამდგომლოს, ქალაქის თვითმმართველობათა წარმომადგენელთ ნება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ **ბულიგინის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიაში**. ამის შესახებ დეპეშა მოურავს უკვე გაუგზავნია ბ-ნ ბულიგინისათვის. ბაქოს ქალაქის მოურავი სწერს, გაზეთების სიტყვით, საბჭოს სხდომა დაიწყება 15 მარტიდან და სასურველია, გვაცნობოთ რა გზას დაადგება ტფილისის საბჭო, აარჩია დეპუტატები თუ არა, როდის გაემგზავრება და სხვა. ბაქოს საბჭოს დეპუტაციის წევრებად აურჩევია ქალაქის მოურავი ირეცკი, გუკასოვი და ტოპჩიბაშევი.

◆ **ოზურგეთში სასწავლებლები**, სასულიეროს გარდა, დაკეტილია.

◆ როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში **მუშათა არტელი** და რკინის გზა შეთანხმდნენ. 10 მარტიდან გემების ტვირთვა-გადატვირთვა განახლდა.

◆ გუშინ, 10 მარტს, ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში **სწავლა შესწყდა**. მოსწავლეებმა დირექტორს გამოუცხადეს, რომ დღევანდელს პირობებში სწავლა არ შეგვიძლიანო.

◆ როგორც სოფ. ალვანიდან (თუშეთი) გვატყობინებენ, იქაურ თუშებს ამ დღეებში ყველა **მოვაჭრე-მედუქნე-ჩარჩები გამოუძევებიათ** თავიანთ სოფლიდან.

◆ ათ მარტს სახალხო მატარებლით ქუთაისის გუბერნიაში წავიდა ადგილობრივ **გენერალ-გუბერნატორად დანიშნული** გენერალ-ლეიტენანტი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

◆ **ცხრა მარტმა ბათუმში**, როგორც დეპეშით უკვე გვატყობინებდნენ, წყნარად ჩაიარა. ამ დღეს არც ერთი მუშა, არც ერთი მეეტლე და მედროგე არ გასულა სამუშაოდ.

◆ ხორცის დუქნების ყოფილ ზედამხედველმა ალიხანოვმა ამ ერთი წლის წინად საკლავი საქონელი შეიძინა ქალაქის დუქნებისთვის და მიიღო 7000 მან. საქონლის პატრონთათვის გადასაცემად. საკლავ საქონლის პატრონებმა ორმა კაცმა ტფილისის ოლქის სასამართლოში საჩივარი აღძრეს. უჩივიან ქალაქის გამგეობას, ფული არ მიგვიღია საკლავ საქონელშიო. ამ საქმის გამორკვევა გამგეობამ მიანდო იურისკონსულტს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-306 ვერსზე, როდესაც ვაგონეტს ატარებდა ლიანდაგის მომუშავე გიორგი მირუაშვილი, მარჯვენა ფეხი დაიშავა. 9 მარტს სად. მისუსლიში მატარებელ № 154 გადმოვარდა მომუშავე პისტოვსკი და მარჯვენა ფეხი დაიშავა.

◆ სად. შამხორი. 9 მარტს მე-445 ვერსზე ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ დაერღვიათ რელსები, მაგრამ რკინის გზის დარაჯმა დროზე შენიშნა და აცნობა. მაშინვე შეაკეთეს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქის მიწის მზომელს ნავთლუღში მამუკას სოფლის მოსაწესრიგებლად შედგენილი ძველი გეგმა ადგილობრივ შეამოწმოს და თუ არ გამოდგა, შეუდგეს ახალ გეგმის შემუშავებას.

◆ ქალაქის გამგეობამ მოისმინა მოხსენება სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტის ტერ-სიმონიანცისა, რომელმაც განაცხადა, რომ ქალაქის მიწები მიითვისეს ივანე ხუციშვილმა, ვასილ ცერცვაძემ, სიმონ და მიხეილ ბუიძემ, ტატიანა ტერეშჩენკომ და თედორე პროხოროვმა და ლონისძიება იხმარეთ მათ წინააღმდეგაო. გამგეობამ საქმეები გადასცა ქალაქის იურისკონსულტს და დაავალა საჩივარი აღძრას.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის წესდების შეცვლის შესახებ საკითხი ქალაქის გამგეობამ გადასცა სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს მოხსენების შესადგენად.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში, სასახლის ქუჩაზედ სარაჯიშვილის სახლში მესაათესთან, შარლ კაცთან შესულა 9 მარტს ვიღაც უცნობი კაცი ოქროს საათის სასყიდლად. საათები გადაურჩევია, ფასზე ვერ მორიგებია და უკანვე გამოსულა. ცოტა ხნის შემდეგ კაცს აღმოუჩენია, რომ უცნობს მოუპარავს ოქროს საათი 100 მან. ღირებული.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მისწერა ქალაქის განათების მევალყურე აგენტს, აცნობოს რამდენი დაუჯდება ქალაქს, თავის ხარჯით რომ ქალაქის ქუჩების განათება მოაწყოს და რამდენი იქნება განსხვავება ქალაქის ხარჯითა და იჯარით განათების შორის.

შეცდომის გასწორება. „ცნობის ფურცლის“ დამატების მე-295 ნომერში დაიბეჭდა ი. ევდოშვილის ლექსი „ამირანი“. ამ ლექსში შემდეგი შეცდომები შეპარულა: პირველ ტაეპის, პირველ სტრიქონში დაბეჭდილია „დრუბელი“, უნდა იყოს „ცისკარი“; მესამე ტაეპში „და აბა“-ს მაგიერ უნდა იყოს—„და აჰა“; მეოთხე ტაეპში „მიდის“ მაგიერ „მოდის“; მე-12 ტაეპში „ტანჯვებსა“ მაგიერ „ჯაჭვებსა“; ამავე ტაეპში „მახუცი არა კვდებოდა“-ს მაგიერ „მოხილი არა კვდებოდა“.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ კვირას, 6 მარტს, ოზურგეთიდან ქუთაისში ჩამოასვენეს გარდაცვალებულის ექიმის მიხეილ გრიგოლის ძის ძნელაძის ცხედარი. ქუთაისის სადგურზე განსვენებულს დიდ-ძალი საზოგადოება დაუხვდა. ყველას ძლიერ აწუხებდა ამ უანგარო, პატიოსან და სათნო კაცის დაკარგვა.

◆ ამ წლის 6 მარტს ქუთაისში დაარსებულ სამარხო კასის წევრთ კ. გ. მაჩავარიანის თავმჯდომარეობით ჰქონდათ საზოგადო კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, დაამტკიცეს 1904 წლის კასის მოქმედების ანგარიში; გამგეობის წევრის ი. დ. ჭეიშვილისა და მისი კანდიდატის ი. ვ. ჭეიშვილის ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ და ხელახლად კენჭის ყრა აღარ ისურვეს, არჩეულ იქმნენ: გამგეობის წევრად—ს. ახობაძე და მის კანდიდატად ნ. ნ. ქობალიანი; სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს კ. გ. მაჩავარიანი, გ. ო. კანდელაკი და ი. ს. ჭითავა. დასასრულ კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა ი. დ. და ი. ვ. ჭეიშვილთ 14 თვის განმავლობაში უსასყიდლოდ ერთგულ სამსახურისთვის.

◆ 7 მარტს, 12 დღის ავადმყოფობის შემდეგ, ქუთაისში გარდაიცვალა ქალაქის საბჭოს მდივანი ივანე ილარიონის ძე ჯაფარიძე. 8 მარტს ქალაქის გამგეობამ საკათედრო ტაძარში გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. ამასთანავე დაადგინა, რომ ჯერ-ჯერობით განსვენებულის [illegible] გვირგვინით ქალაქისა და თვით-მმართველობის სახელით, [illegible] მანეთი გაუგზავნოს მიცვალებულის ჭირისუფალთ.

რუსეთის ქრონიკა

შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის წერილი. აქამდე ბულიგინი მეგაზეთეებს ახლოს არ იკარებდა და არაფერს ეუბნებოდა. ეხლახან კი დასთანხმებულა წერილობით შეატყობინოს თავისი შეხედულება და პოლიტიკური პროგრამმა „დეილი კრონიკლ“-ის კორესპონდენტისათვის. „მე მინდა უარვყო ის, რაც ჩემზე იყო ნათქვამი საზღვარ-გარეთის პრესაში. გარდა იმ ფაქტისა, რომ მე მოსკოვში ვმსახურებდი დიდ-მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის ხელქვეით, დანარჩენი სულ ტყუილია, რაც თქმულა. ამტკიცებენ, რომ ჩემი პოლიტიკა რეაქციონურია, მაგრამ ეს აზრი ყოვლად უსაფუძლოა. თანამდებობა რომ მივიღე, პირველ საქმედ მივიჩნიე 12 დეკემბრის მანიფესტში ნაჩვენები რეფორმების განხორციელება. პირადად მე მომწონს ყველა რეფორმები და კეთილსინდისიერად მოვიხმარ ყოველ ღონეს მათ განსახორციელებლად. მომწონს აგრეთვე ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობა კანონმდებლობაში, მაგრამ იმ პირობით კი, რომ თვითმპყრობელობა, რუსეთის ეს ძირითადი პრინციპი, პატივცემული იყოს... გარდა ამისა მე დიდი მომხრე ვარ საგუბერნიო ერობის ავტონომიის გაფართოებისა. ეხლანდელი არეულობა გამოწვეულია ორის მიზეზით; პირველი და უმთავრესი—შორე აღმოსავლეთის ომიანობაა, მეორე მიზეზი მთავრობის დიდი შეცდომაა—ერთბაშად პლევეს სასტიკ რეჟიმს მოჰყვა თ. სვიატოპოლკ-მირსკის მეტად ზომიერი რეჟიმი. ვერ გავბედავ ვიწინასწარმეტყველო არეულობა მალე გათავდება—ერთბაშად ვერ დააწყნარებ... პირიქით მე წინასწარ ვხედავ ერთგვარ ბრძოლას. ტერორისმის ძალამ მოვლენები, როგორც, მაგალითად, დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მოკვლაა, ვერ აიძულებს მთავრობას ოდნავადაც გადაუხვიოს განზრახულ პოლიტიკურ მიმართულებას; მაგრამ ამ გვარ შემთხვევების განმეორება შეუძლებელად გახდის რეფორმების განხორციელებას, რადგან მთავრობის მთელი ენერგია ბრძოლას მოუნდება. რაც შეეხება ჩემ პოლიტიკას, იგი მიმართული იქნება გონებათა დამშვიდებისა და ადმინისტრაციის რეფორმისაკენ მხოლოდ ბუნებრივისა და ნორმალურის საშუალებით. თქვენ მეკითხებით, ექნება თუ არა უფლება ერობის წარმომადგენელთა მომავალ კრებას მსჯელობა“ ექონიოს ადგილობრივ საქმეების გარდა „მაღალ პოლიტიკის საკითხებზედაცო; ამაზედ უნდა გითხრათ, ამის ნებას არ მისცემენ. რაც შეეხება იმ საქმეებს—ომიანობასა და ზავის ჩამოგდებას შორე აღმოსავლეთში, მე ვერაფერს გეტყვით“. („ნ. დ.“).

ჯარის კაცების სიკვდილით დასჯა. „ვარშავსკი დნევნიკ“-ი იტყობინება, რომ 28 თებერვალს სისრულეში მოიყვანეს სამხედრო სასამართლოს დადგენილება, რომლის ძალით დახვრიტეს 5 სათადარიგო ჯარის კაცი.

პრისტავების პროტესტი. ქალაქ ეკატერინოსლავის პრისტავებს წერილობითი პროტესტი გაუგზავნიათ კურსკის პირველ ნაწილის ბოქაულისთვის—„ღმერთი, კანონი და უფლებანი რად დაივიწყეთ და ასე არა-ადამიანურად მოეპყარით ბავშვებს (მოსწავლეებს)-ო. („ნ. დ.“)

პრესსა

„ივერია“-ში დაბეჭდილია სომხურ გაზეთ „მშაკ“-იდან გადმობეჭდილი წერილი ამას წინად საბჭოს ხმოსანთა კერძო კრებაზე მომხდარ ამბის გამო. სომხური გაზეთი ჰკიცხავს ზოგიერთ ხმოსნების უტაქტო საქციელს და ამბობს, რომ „ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ტფილისის საბჭო ავი ანგელოზივით მოქმედებდა ქართველებსა და სომხებს შორისაო“.

სომეხთა ბურჟუაზიამ შესდგა ფეხი ტფილისის საბჭოში და გამოვიდა ქართველების წინააღმდეგ, ჩამოვარდა აქ ეროვნული განხეთქილება და ქართველებიც იძულებულნი შეიქმნენ დაეთმოთ სომხებისთვის და ჩამოშორებოდნენ თვითმმართველობის საქმეებს. მაგრამ ეს ხმოსნები არც სომხებისთვის ყოფილან სასიამოვნო, ვინაიდან მათ არც სომხური იცოდნენ, არც სომხის მწერლობას ეტანებოდნენ და თვალყურსაც არ ადევნებდნენ სომხების საზოგადო ცხოვრებას. ესენი იყვნენ სომხები მხოლოდ იმითი, რომ ინათლებოდნენ სომხურ ეკლესიაში და სომხების სასაფლაოზე იმარხებოდნენ. ტფილისის სომეხ ბურჟუაზიის მოქმედებამ ბევრი სიმწარე დაანახვა სომხებს შემდეგში.

კერძოდ ხმოსანთა სხდომაზე მომხდარ ინციდენტის გამო გაზეთი ძალიან ჰკიცხავს სომხების საქციელს. წარმომადგენელთა გაგზავნა პეტერბურგში ისეთ დიდ საქმედ მიაჩნია, რომ უსათუოდ ქართველიც უნდა ერიოს, რომელიც ქართველი ერის საჭიროებაზე იშუამდგომლებს. ამას მოითხოვს ერის საჭიროება და მეზობელ ხალხთა შორის ერთობის და მეგობრობის განმტკიცება. მაგრამ

დავანებოთ თავი იმას,—ამბობს დასასრულ გაზეთი,—რომ ამნაირი საქციელი აღშფოთებდა

ქართველებს, რომ ქართველებს სრული უფლება ექმნებოდათ გამოეცხადებინათ თავიანთი კანონიერი გულის წყრომა, ვინაიდან ეს იქმნებოდა ქართველების შეურაცხყოფა,—მაგრამ მაინც უნდა აღვიაროთ უთუოდ, რომ ამნაირი საქციელი გვამცირებს ჩვენვე,—ნუ გვინდა გავაჩუმოთ და განზე დავტოვოთ ერი, რომელიც საოცარის ენერგიით მოქმედობს და რომელმაც ამიტომ დიდი გავლენა უნდა იქონიოს იმ საქმის გადაწყვეტაზე, რომელსაც ვემსახურებით საერთოდ. ჩვენი თავის დამცირებაა, თუ ვკისრულობთ იმ საქმის შესრულებას, რომლის შესრულებაც ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია, რომლის შესასრულებლად გვჭირია ქართველ ერის ძალა და ცოდნა.

დრო არის, დროა გავიგოთ, რომ ქართველებმა მრავალ რამეში გაგვისწრეს და რომ ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ამ ერის დაახლოვება, ღირსეულ ადგილის მიცემა ყველა საზოგადო საქმეში. ამ დაახლოვებას, ღირსეულ ადგილის მიცემას ჩვენის მხრივ რამე წყალობის, ან საჩუქრის ხასიათი როდი ექნება, არა, ქართველები ღირსნი არიან ამისი და ჩვენც მხოლოდ ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ. მოწყალების გაცემა შეუძლია მდიდარს ღარიბზე, უფროსს უმცროსზე... ჩვენ კი, სომხები და ქართველები, არასოდეს არ ვყოფილვართ, ეხლაც არა ვართ და არასოდესაც არ ვიქნებით ერთმანეთში უფროს უმცროსნი და ჩვენივე ინტერესი მოითხოვს ჩვენგან, რომ ყოველთვის ვიყოთ ქართველებთან ერთობით, ვინაიდან ჯერ კიდევ ბევრ საქმეში უნდა დავრჩეთ ქართველ ერის მოწაფეებად. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს სიტყვები ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობისათვის და შოვინიზმისათვის ვერაფერი სასიამოვნო გასაგონია, მაგრამ შოვინიზმის გულისთვის არ უნდა დავმალოთ სიმართლე. ცხოვრებაში მოქმედობს უტყუარი ფაქტები და არა თავის მომატყუებელი დიდგულობა და გრძნობები.

ქართველ ინტელიგენციის მოქმედებას საფუძვლად უდევს ერი, საკუთარი მიწა-წყალი, ტერიტორია. და სომეხ ინტელიგენციისათვის, რომელიც ეძებს თავის ხსნას მხოლოდ კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიაში, ასეთი საფუძველი ხომ მხოლოდ სანატრელია, ხელთ-კი არა აქვს. რაგვარის მხნეობითა და თავგანწირულებით მოქმედობს ქართველი ინტელიგენცია მწერლობასა და პრესაში, როგორის მოხერხებით უძღვება ჟურნალ-გაზეთობას, როგორ გავრცელებულია ქართველებში გაზეთის კითხვა! ქართულ გაზეთის გავრცელება შეუდარებელი მაგალითია კავკასიის ერთა ისტორიაში. ქართული, „ცნობის ფურცელი“ ათასობით ვრცელდება,—მუყაითობით და თავგანწირულ შრომით, ერთმანეთში ამხანაგურის თანამშრომლობით გაავრცელეს ეს გაზეთი,—ეს ქართველებისთვის დიადი კულტურული გამარჯვებაა. ჩვენს ქვეყანაში პროგრესიულ აზრების გასავრცელებლად განახლდა ძველი „ივერია“ც, მან გამოიცვალა თავისი მიმართულება და ღირსეულად გაუძღვა წინ ქართველ საზოგადოების ცხოვრებას.

აქ არ შეგვიძლია, უფრო ვრცლად, უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ ქართველების შესახებ, ან გავაცნოთ მკითხველებს ის მოძრაობა და ის იდეალები, რომელიც ასულდგმულებს ქართველებს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მეტად განვითარდა ქართული ენა, რომ ეს არის ქართულ მწერლობის და ჟურნალ-გაზეთობის განვითარების შედეგი. ამნაირად, ქართველ ერს შეუძლია შემდეგში სხვა ერთა ცხოვრებაზედაც მოიპოვოს გავლენა. ყოველ ერის ძალღონე არის დამყარებული მის ცხოვრების წინსვლაზე და სწავლა-განათლების გავრცელებაზე,—ამ კანონის შეცვლა ან მოსპობა არ შეუძლია არავის. და აი, ასეთ ერს, ასეთ კულტურულ ძალას არა სცეს შესაფერი პატივი ტფილისის ხმოსნებმა!

⁂

„რუსკ. ვედ.“-ში დაბეჭდილია ბ-ნ ა. ხახანაშვილის პაწაწა წერილი გურიის ამბების შესახებ. „რუს. ვედ.“-ი მოწინავე რუსული გაზეთია, ამასთან დიდად გავრცელებული. საჭირო იყო ბ-ნ ხახანაშვილს, რაკი სწერდა, მეტი შრომა მიეღო, ქართულ გაზეთებით ესარგებლნა და რუსულ საზოგადოებისთვის დაწვრილებით გაეცნო ის დიდად საინტერესო მოვლენა, რომელიც ამ ჟამად გურიაში ხდება. ამას გარდა ამ პატარა შენიშვნაშიაც რამდენიმე თვალსაჩინო შეცდომაა. ნათქვამია, გურიაში დროებით-ვალდებული გლეხნი 70%-ს შეადგენენო. ნამდვილად-კი ასეთ გლეხთა რაოდენობა 15%-ს არ აღემატება.

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, ბ-ნო რედაქტორო, ჩემი უღრმესი აღშფოთება და მწუხარება გამოვცხადო იმ სიტყვების გამო, რომელიც გამოსთქვა 2 მარტს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ სოხუმის ოლქის მემამულემ გენერალმა თავ. ჰ. დ. შერვაშიძემ. თავმჯდომარის შეკითხვაზე ადგილობრივ მცხოვრებთა (შავის ზღვის პირად) მდგომარეობის შესახებ, თავ. შერვაშიძემ განაცხადა: ადგილობრივი მცხოვრებნი მხოლოდ უსაქმურნი, კაცისმკვლელნი და ცხენის ქურდები არიანო. გასაოცარი და გასაკვირველია, რად ინება თავადმა ესეთი ცილის წამება და რად მონათლა ასეთის ეპიტეტებით სოხუმის ოლქის მცხოვრებნი და იმათი მეზობელი გურულები, რომელთაც ყველას პატივისცემა მოიპოვეს შრომა-მუყაითობით, რაინდულ გაბედულობით, უკუღმართ დროებასთან შებრძოლებით და სიმართლისა, ძმობა-ერთობასა და თავისუფლებისაკენ მტკიცე მისწრაფებით. სცდებით, თავადო, სოხუმის ოლქისა და მეზობელ ადგილების მკვიდრნი „კონოკრადები“ არ არიან და თუ აქა-იქ გამოერევა რამდენიმე, ისინიც იმ თქვენებრ კეთილის მოყვარეთა წყალობით, რომელნიც იერარქიის მხარს უჭერდნენ, რომ ეფერო შევიწროვებინათ, ხელები შეეკრათ და სიმართლისაკენ მიმავალთათვის ხშირად ცხოვრებაში გზა დაებნიათ. **ქ. ქავთარაძე.**

წერილები

ახალ-სენაკი (სამეგრელო). ორ კვირაზე მეტია, რაც აქაურ ნორმალურ სასწავლებელში მეცადინეობა შეწყვეტილია. 17 თებერვალს მოსწავლეებმა წარუდგინეს თხოვნა სკოლის ზედამხედველს, ბ-ნ ენუქიძეს, და მეცადინეობას თავი დაანებეს. მოსწავლენი თხოულობენ ქართულ ენის შემოღებას ხსენებულ სასწავლებელში. აი, როგორ ახასიათებენ ისინი ქართულ ენის საჭიროებას თავიანთ თხოვნაში: „... ჩვენ ძალიან გვეჭირვება ქართული ენა. ჩვენი მშობლები ქართულად ლაპარაკობენ. გარდა ამისა ირგვლივ, უმეტეს ნაწილად ქართული გვესმის. ხშირად გვჭირდება ხოლმე წერილის მიწერა მშობლებთან თუ ნათესავებთან, მაგრამ ქართულ ანბანის უცოდინარობა გვიშლის ხელს. რუსულად რომ დავწეროთ—იმათ ხომ არ იციან რუსული? ამ სკოლის გათავების შემდეგ, თითქმის ყველანი სახლში უნდა დავრჩეთ; სწავლის გაგრძელება არ შეგვიძლიან—სიღარიბე გვაბრკოლებს. რუსული კი იმგვარად ვერ შევისწავლეთ, რომ ცხოვრებაში ხეირიანად გამოვიყენოთ. ქართული ხომ სრულიად არ ვიცით. ამის გამო ჩვენი მშობლები და სხვებიც წამდაუწუმ დაგვცინიან: ამდენ ხანია სწავლობთ და არაფერი გაგეგებათო: მართლაც, ქართული ძლიერ გვინდა; უმაგისოდ ვერაფერი მოგვიხერხებია. მოგვეცით ნება შევისწავლოთ სამშობლო ენა“-ო. ეს თხოვნა, როგორც გავიგეთ, სკოლის ზედამხედველს.. სახალხო სკოლების დირექტორისათვის წარუდგენია. ოდიშში თითქმის პირველად ამ სკოლიდან გაიდევნა ქართული ენა. ეს ამბავი მოხდა ამ ათი-თორმეტი წლის წინად. მაშინაც ბ-ნი ენუქიძე იყო სკოლის უფროსად. **სვინდისი**

სოფ. ხიდარი (იმერეთი). არეულობამ ჩვენშიაც იჩინა თავი. 28 თებერვალს, სოფ. ხონიდან დაიწყო ხალხმა დენა, შემოიარა ლახუნდარა, ვარძია, ხიდარი და კიცხი. კომლზედ კაცი არ დაუტოვებიათ ყველა თვალხილული შეიერთეს და გაემართნენ კიცხის საზოგადოების სამმართველოსაკენ. ხალხი მივარდა ჯერ სკოლის შენობას და ფანჯრები, აივანი, კარები და სტოლები მტვრად აქცია, შემდეგ შეცვივდა სამმართველოში და იმასაც ის დღე დააყარა, რაც სკოლის შენობას, გამოიტანა საქმის ქაღალდები და სულ ნაფლეთებად აქცია. აქედან ხალხი გაემართა აზ. ვანო ყიფიანთან, სადაც ბინობს ქიკოს მონასტრის არხიმანდრიტი სამოელი. არხიმანდრიტი შინ არ იყო. ხალხმა სადგომ ოთახში ყოველივე მტვრად აქცია, ტანისამოსიც არ დაუტოვებიათ. მერე თვით არხიმანდრიტს დაუწყეს ძებნა, მაგრამ ამაოდ. დაბინდებისას ხალხი დაიშალა.

იმ ღამეს ვიღაცეებმა ცეცხლი წაუკიდეს გლეხის კირილე ბერძის სასიმინდეს და ნალიას, რითაც ორმოცი თუმნის ზარალი მოუვიდა გლეხს. ცეცხლივე გაუჩინეს აქაურ ტყის მცველის ჩალის ზვინს. მეორე ღამეს ცეცხლით გადაბუგეს სასოფლო სამმართველოს შენობა. **ხიდრელი.**

სოფ. ჯურუყვეთი (გურია). დადგა დიდმარხვის პირველი კვირა თუ არა, მთელმა ჯურუყვეთის საზოგადოებამ გადასწყვიტა სოფლის ყველა გზის შეკეთება. ორშაბათს დილით ამ საზოგადოების ოთხი სოფელი უკვე მიმდგარი იყო გზების სამუშაოდ. აქ ყველა წოდების პირი იღებს მონაწილეობას, როგორც გლეხი, ისე აზნაური, მღვდელი, მასწავლებელი, ვაჭარი და სხვა. ისეთი აზნაურები, რომელთაც თავის დღეში თოხი არა სჭერიათ ხელში და მთელ ორ საათს მარტო პირის ბანას ანდომებდნენ, დღეს გლეხებს ამოსდგომიან გვერდში და ბარით მიწას სთხრიან. აქ მღვდელი ანაფორა შეკალთებული მუშაობს, იქ მასწავლებელი, ვაჭარი... ყველგან საერთო მხიარულობაა. ხან-და-ხან გაისმის შორს, შორს გურული ნადური სიმღერები: „გურიანთულაი“, „ქობულეთურაი“, „საჯაოხურაი“, „ბაილეთურაი“ და სხვა. ამინდიც საერთო მხიარულებას ხელს უწყობს. ყველგან წესიერებაა და ძალდაუტანებლობა. ყველა გზები, რომელნიც რამდენი ხანია ვემუდარებოდით მთავრობას და ვერ ველირსეთ, ამ კვირეში გაკეთდება. ასეთი ძალა აქვს გაზაფხულის მოახლოვებას, რომელმაც ამ ბოლო დროს ყველაზე თანასწორად იმოქმედა. **ცალფეხი**

დაბა ქობულეთი. 3 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზედ, საყაჯეში სულ უბრალო რამეზედ ჩხუბი მოუვიდა ორ ქართველ მაჰმადიანს. ჩხუბი მალე გაძლიერდა და ორივე მხარე იარაღით დაერია ერთმანეთს, რომლის დროსაც მოკლულ იქმნა მილიციის პრაპორშჩიკი სერდერ-აღა ხაიდაროღლი და დურსუნ ჭყონია. დაჭრილია ხაიდაროღლის ორი შვილი, მათ შორის ერთი სასიკვდილოდ. დაჭრილი სულ 5 კაცია, მათ შორის სამი ქართველი მაჰმადიანი, ერთი ბერძენი და ერთიც ქართველი—თოთიბაძე, ხაიდაროღლის მოჯამაგირე. **თეთრ-წვერა**

სოფ. კულაში (იმერეთი). 2 მარტს, ნაშუადღევს, სოფელს კულაშში ცეცხლი გაუჩნდა თავ. გ. ბ. იმქელაძის სახლს და, რადგან ძლიერი ქარი იყო, ცეცხლმა შთანთქა კიდევ ორი სახლი თავ. მიქელაძეებისა, და ექვსი გლეხისა. ზარალი გლეხებისა 6,000 მანეთს აღემატება. გლეხებიც და თავადებიც დარჩნენ ღვთის ანაბარად, ვერაფერი ველარ გადაარჩინეს იმის მეტი, რაც ტანზედ ეცვათ. მათი ცრემლები და გოდება-ტირილი ცას სწვდებოდა. **დროებით ხუნჯულიარელი.**

დ. ყვირილა (ზემო იმერეთი). აქაური ცხოვრება ბევრად შეიცვალა ამ ერთ თვეში. ხალხი გამოფხიზლდა; წინად მისთვის გაუგებარ საგნებზე ახლა თამამად ლაპარაკობს და გაბედულად თხოულობს თავისს უფლებებს. ამას წინად მაზრის უფროსმა შეკრიბა ვაჭრები ნოქრების მოთხოვნილებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. ბევრ სჯა-ბაასის შემდეგ დაადგინეს შემდეგი: ყველა სავაჭრო დუქნები, გარდა სამიკიტნო, ხორცის და პურის დუქნებისა, ყოველ უქმე დღეს დაკეტილ იქნას, ხოლო უბრალო დღეებში მუშაობა სწარმოებდეს დილის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე. 21 თებერვალს დილით საქალაქო სკოლის მოსწავლეებმა თავი მიანებეს სწავლას, თავისს მოთხოვნილებანი წარუდგინეს სკოლის მთავრობას და გაემართნენ სხვა სკოლებისკენ. მივიდნენ საქალაქო მოსამზადებელ სკოლაში, მოსწავლენი გაანთავისუფლეს სწავლისაგან და შეიერთეს. სხვა სკოლებამდი ვერ მიაღწიეს, რადგან გზაზე ბოქაული დარაჯებით გადაეღობათ წინ, რის შემდეგაც დაიშალნენ. სწავლა შესწყვიტეს აგრეთვე ქალების კერძო პროგიმნაზიაში. **საყულიელი.**

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

9 მარტი.

ტოკიო, 9 მარტი. კონტრ-ადმირალი არაი ჩემულპოში წავიდა, რათა თვალ-ყური ადევნოს, რომ ამოიღებენ დატვირთულ „ვარიაგ“-ს წყლიდან.—იაპონელთ საზღვაო პროექტით სახეში აქვთ ააშენონ 12 ჯავშნოსანი და 12 ჯავშნიანი კრეისერი.—როგორც კერძო საიმედო წყაროებიდან სჩანს, იაპონიის წინა რაზმები ილაშქრებენ წინ კაიუანის ჩრდილოეთისაკენ; ჩინეთის დიდ კედლის სამხრეთით არ შეუმჩნევიათ რუსის ჯარი. ყველაფრიდან სჩანს, რომ რუსები ჩანსუნსა და გირინს შორის გაამაგრებენ პოზიციებს. ისინი გაფაციცებით აგებენ სიმაგრეებს.

ასხაბადი, 9 მარტი. მეშხედიდან დეპეშით ატყობინებენ „ზაკასპ. ობოზრენ“-ას, რომ იქ ხალხი აუჯანყდა ევროპიელებსო. დაანგრიეს სომეხ ოსპიანცის სახლი. ყველანი რუსეთის საკონსულოში მოულობენ თავ-შესაფარს. მდგომარეობა საშიშია.

როსტოვი დონზე. რადგანაც ბევრი ტვირთი იგროვება კავკასიის რკინისგზაზე, ამიტომ ამ გზის მთავრობა შეუდგა მეორე გზის კეთებას სადგურ ზარეჩნიდან კავკასკაიამდე და მინერალურ წყლებიდან კავკავამდე.

დვინსკი. დღეს დილით შუაგულ ქალაქში დასჭრეს თავში რევოლვერით ბოქაულის თანაშემწე დეგტერიოვი. დამნაშავე მიიმალა.

შანხაი, 9 მარტი. იუანშიკაი მუკდენში გაემგზავრა.—ხმებია, რომ იაპონიასა და ჩინეთს შორის საიდუმლო შეთანხმებაა მანჯურიის შესახებო.

ნიუკასტლი. ახალი გემი ვერ გადაეცემა იაპონიას ომის გათავებამდე; მაშინ-კი ეს გემი სამსახურს გაუწევს მშვიდობიანობის საქმეს.

მოსკოვი. მოსკოვის საგუბერნიო საერობო სამმართველომ ნახევარი მილიონი ფუთი თურქი შეიძინა, რათა შეღავათიანი ფასით დაურიგოს გლეხ-კაცებს სახლების სახურავისათვის;—მოსკოვის კონსერვატორიამ, მიიღო-რა 220 მოსწავლის განცხადება სწავლის გაგრძელების სურვილის შესახებ, დაადგინა, არ ადკვეთოს მეცადინეობა.—შინაგან საქმეთა მინისტრისათვის შუამდგომლობის წარსადგენად, რომელიც შეეხება ერობის წარმომადგენლების დასწრებას რჩევაზე, აირჩიეს კომისია შემდეგ პირთაგან: შიპოვისა, თავ. დოლგორუკოვისა, შეპკინის და რიხტერისაგან.—მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა წინადადება მისცა საშუალო სასწავლებლების უფროსებს, წარმოადგინონ ცნობანი იმ 130 პედაგოგებზე, რომელთაც თავიანთი აზრი გამოსთქვეს გაზეთ „პრავო“-ში სახელმწიფოში სასურველ რეფორმების შესახებო.

ასხაბადი, 9 მარტი. „ზაკასპ. ობოზრ“-ას მეორე დეპეშა მოსვლია მეშხედიდან, რომ ძლიერდება სომხების წინააღმდეგ აჯანყებაო. მიკირტიჩევის საწყობიდან 10000 თუმნის საღირალი საქონელი გაუტაცნიათ. გაუცარცვავთ აგრეთვე „კავკაზ და მერკური“-ს, „რუსეთი“-სა და „აღმოსავლეთ-“ის საზოგადოებების საწყობები და ბიურო.

პარიზი, 8 მარტი. „ტაიმსი“-ს მაროკოს კორესპოდენტმა გვაუწყა, რომ გერმანიას განზრახვა აქვს საქმე დაუხლართოს საფრანგეთს მაროკოშიო. ოფიციალური წრეები იუწყებიან, რომ ეს ხმები მტკნარი სიცრუეა, პირიქით ვილჰელმს გულ-წრფელი სურვილი აქვს იმოქმედოს საფრანგეთთან ერთადო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

8 მარტი.

სიპინგაი, 9 მარტი. ჩინეთის სოფლის მცხოვრებლებს შიშის ზარი დასცა რუსების წასვლამ და მთებში გარბიან. ქალაქებში ჩინელები ჭიშკრებს ჰკეტვენ, რუსის ჯარებს რომ დაინახავენ, იაპონელებს კი, პირიქით, სადღესასწაულოდ მორთულნი უხვდებიან. იაპონელები მაინც სასტიკად ექცევიან ჩინელებს. უწინდებურად აწამებენ. აწამებენ ჩინელებს, თუ ეჭვი მიიტანეს, რომ ისინი მეგობრულად ექცევიან რუსებს. აწამებენ აგრეთვე თარჯიმნებს. თუ ვაჭრებს რუსული ფული უნახეს ხელში, ხელებს სჭრიან. ლიაოიანის პირველი გუბერნატორი სიანი ზაიჩანში ჩაამწყვდიეს. მეორე გუბერნატორი აწამეს და პორტ-არტურში გაგზავნეს; აწამეს აგრეთვე მისი ოჯახი, მოსამსახურეები. ჩინეთის პოლკოვნიკი ჯაო და მისი ბიძაშვილი ჩამოახრჩვეს ინკოუში იმისათვის, რომ რუსებთან კეთილ-განწყობილება ჰქონიათ. აწამეს აგრეთვე ჩინეთის აფიცერი ჟუ. ჩინელებს ეშინიათ, იაპონელებმა არ გაგვიგონო და ამიტომ რუსებს საკვები სურსათი ვერ უშოვნიათ საყიდლად; ვერცხლის ფულს ქაღალდისაზე სცვლიან, რადგანაც იმედი აქვთ, რომ უფრო ადვილია ქაღალდების შენახვაო.

ადენი. („დეილი მეილი“). გუშინ ჯიბუტში 34 გემი იდგა 100000 ტონა ნახშირით დატვირთული; ეს ნახშირი ბალტიის ესკადრისთვის არის დანიშნული, რომელსაც მარტის გასულს მოელიან,

ტოკიო. საკვები სურსათი, რომელიც იაპონელებმა მანჯურიაში წაართვეს რუსებს, ჩინელებში ყოფილა ნაშოვნი. ორჯერ დაჭრილი გენ. მაიორი კუზუმი კარგათაა ეხლა და ჩქარა ჯარში დაბრუნდება.

პარიზი, ჰავასი. გარეშე საქმეთა სამინისტროში არავითარი ცნობა არაა, რომლის ძალით შესაძლებელი იყვეს დაირღვეს ან დამტკიცდეს ის ხმები, რომელნიც რუსეთის სესხის საფრანგეთის ბირჟაზე განაღდებას შეეხება.

სიპინგაი. გენერალ ლინევიჩის დანიშვნას მთავარ-სარდლის პოსტზე დიდის აღტაცებით მიეგებნენ ჯარები, განსაკუთრებით ციმბირელები. მხცოვან მთავარ-სარდლის სამსახური ომიანობის დროს, რომელიც დაიწყო მან კავკასიაში და ჩინებულად დაამთავრა პეკინისკენ გალაშქრების დროს, ყველას სიმამაცესა და სიყოჩაღეს უნერგავს გულში.

პეტერბურგი. მთავარი შტაბი იუწყება, რომ მუკდენთან უკანასკნელ ბრძოლაში დაღუპულების სიას აცნობებენ მას დეპეშით, როგორც რომ ჯარების სხვა-და-სხვა ნაწილებიდგან ცნობა მოუვათ ამის შესახებო.

ბერლინი. იაპონელებს ახალ სესხს შემდეგის პირობით აძლევენ: ამ სესხის უმეტესი ნაწილით გერმანიის ფაბრიკებს უნდა შეუკვეთონ იაპონელებმა საჭირო საგნები. გაზეთები იუწყებიან, რომ ზემო პალატის პრეზიდენტი გარეშე საქმეთა მინისტრათ ინიშნებაო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 4 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,70
ბირჟის დისკონტი	$5\frac{1}{4}$—$6\frac{3}{4}$%
4% სახელმწიფო რენტა	$89\frac{3}{8}$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	391
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$312\frac{1}{2}$
5% გირ. პომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$5\frac{1}{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$89\frac{1}{8}$
$4\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
5% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოსკენ: 1) სწრაფი № 20 (მხოლოდ სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

პარასკევს, 11 ამა მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, სათავად-აზნაურო სკოლის ახალი შენობის კანტორაში, მოხდება **ვაკეს ადგილის პატრონთა კრება.** კრებამ უნდა განიხილოს გადაღებული გეგმა ვაკისა. ტფილისის საბჭოს მიერ არჩეული კომისია, აცხადებს რა ამას, სთხოვს დასახელებულ ადგილის პატრონთ მობრძანდნენ კრებაზე. (2—6.—2)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

წლიური კრება

დანიშნულია კვირისათვის, 13 მარტს, დილის 10 საათზე, საამხანაგო ქარხანაში (ელისაბედის ქუჩა სახლი № 25).

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1904 წლის ანგარიშისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიის წევრთა, 3) მოხსენება გამგეობისა ამხანაგობის საქმეთა გაუმჯობესების შესახებ, 4) არჩევანი გამგეობის თავმჯდომარის და წევრთა, 5) სარევიზიო კომისიის და წევრთა, 6) არჩევანი დამფასებელ კომისიის წევრთა და 7) ახალ წევრთა. 2—6—1

ტფილისის ქალაქის

საბჭო

აცხადებს, რომ ამა წლის 16 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, მოხდება **საჯარო ვაჭრობა,** რომლის დროსაც იჯარით გაიცემა სამუშაო მცურავ საბანაოების გასამართავად. ეს საბანაოები გაიმართება მტკვარზე და შესდგება ხის პავილიონისაგან რკინის პონტონებზე. შეიძლება განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებით წარდგენილ იქნას ცალკე რკინეულ და ცალკე ხის სამუშაოებზე ან ორივე ერთად. პონტონი ნაპირზე მიმაგრებული, წყალზე უნდა იდგეს;

პირობებისა და სხვა ქაღალდების გაცნობა შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში 12 დან 3 საათამდე. (3—6.—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 12 მარტისთვის დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ხარფუხის სკოლისთვის მე-6 ნაწილში, საიდაბაშის მოედანზე ერთ-სართულიან სკოლის შენობის აგების საქმე. მსურველმა ვაჭრობამდე უნდა წარადგინოს სამუშაოს ღირებულების 5%. განცხადებანი დაბეჭდილის კანვერტებით ბესთან ერთად წარდგენილ უნდა იქმნას გამგეობაში 12 მარტის 1 საათ.

პირობებისა და ხარჯთ-აღრიცხვის გასინჯვა შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 2 საათამდე. (3—6.—3)

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში
(ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება
ცელულიარული გრენა
(აბრეშუმის თესლი)
თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.
ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები.
პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—1)

ნავთის მწარმოებელ საზოგადოების

„[illegible]“

გამგეობა იწვევს ბ-ნ პაის პატრონთ წლიურ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, 20 მარტისათვის, ქალაქის საბჭოს დარბაზში, საღამოს 8 საათზე. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს უკანასკნელ საოპერაციო წლის ანგარიში და დაადგინოს ამხანაგობის საქმეთა ლიკვიდაციის წესი. (3—96—1)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, სახაზინო სობრანიეს ახლოს. (წ.—176—206)

Доз. цен. Тифлисъ, 10 Марта 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ-ბისა.